პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 7 (10704) | ოთხშაბათი, 9 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიმდინარე წლის 17 მარტს დანიშნულია საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები. ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ეწყობა აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის სსს რესპუბლიკებში.

ამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიას რესპუბლიკის მშრომელები ხვდებიან ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით, მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მჭიდროდ დარაზმულობით.

1956 წელი კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ცხოვრებაში აღინიშნა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებით. შემცირდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა დასვენებისა და უქმეების წინადღეებში, ძალაში შევიდა ახალი კანონი პენსიების გადიდების შესახებ, დაწესდა ექვს და ოთხსაათიანი სამუშაო დღე მოზარდებისათვის, გაუქმდა სწავლის გადასახადი, გადიდდა შვებულება ორსული ქალებისათვის.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება საბჭოთა დემოკრატიზმის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მასებთან ხელისუფლების ორგანოების კავშირის განმტკიცებისათვის.

წარმატებები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელად ამაღლება ნათლად მეტყველებს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დაუშრეტელ ძალებზე, სოციალისტური დემოკრატიზმის უპირატესობაზე.

საბჭოები ხალხის ხელისუფლების ორგანოებია. მათში განსახიერებულია ხალხის კოლექტიური გონება. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები არიან საბჭოთა საზოგადოების მოწინავე ადამიანები, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის საუკეთესო შვილები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც ხელისუფლების ყველაზე მასობრივ ორგანოებს წარმოადგენენ. ისინი ხელმძღვანელობენ კულტურულ-პოლიტიკურ და სამეურნეო მშენებლობას თავიანთ ტერიტორიაზე, აწესებენ ადგილობრივ ბიუჯეტს, უზრუნველყოფენ კანონების შესრულებას, სახელმწიფო წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას, ხელს უწყობენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველმხრივ უწყობს ხელს, ხელმძღვანელობს საბჭოებს, იბრძვის მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის მათს ყოველდღიურ მუშაობაში. პარტიის XX ყრილობამ საბრძოლო ამოცანად დასახა საბჭოთა დემოკრატიზმის სრულყოფილი განვითარება, მშრომელთა აქტივობისა და ინიციატივის შემდგომი გაძლიერება, ხალხის მასების ფართო მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, მთელ იმ გიგანტურ ორგანიზატორულ-სამეურნეო მუშაობაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში წარმოებს.

პარტიის XX ყრილობის შემდგომ პერიოდში საბჭოების საქმიანობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოები ფართო მასების აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით საგრძნობ მუშაობას ეწევიან დასახული ამოცანების განხორციელებისათვის. მაგრამ მათი მუშაობა უნაკლო როდია. ჯერ კიდევ არის სესიების მოწვევის ვადების დარღვევების შემთხვევები, ზოგჯერ დეპუტატები ამომრჩევლებს ანგარიშს აბარებენ მხოლოდ მორიგ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, არის მშრომელთა მოთხოვნებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები, მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის ბოლომდე არ მიჰყავთ. ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს მუშაობაში იგრძნობა უინიციატივობა, ფორმალიზმი, სასხდომო ფუსფუსით გატაცება.

კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ინტერესები მოითხოვს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მასებთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას, კონსტიტუციით გათვალისწინებულ დებულებათა განუხრელ განხორციელებას. საბჭოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ საკითხებს, გახადონ ისინი სესიების მსჯელობის საგნად.

ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების ვალია გამოავლინონ და აამოქმედონ არსებული რეზერვები საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, საბინაო მშენებლობის გაფართოებისათვის, განახორციელონ გადამჭრელი ღონისძიებები სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. საჭიროა ულმობლად ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას სამმართველო აპარატში, აღვკვეთოთ უკანონობის, თვითნებობის, სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევის ყოველგვარი გამოვლინებანი.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები წარმოადგენს საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობის სერიოზულ შემოწმებას.

ამოცანა ის არის, რომ საარჩევნო კამპანია ჩავატაროთ მაღალ დონეზე, რათა ის ხელს უწყობდეს მასების პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას. პრინციპული კრიტიკა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საიმედო გზაა. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ყველა ის კრიტიკული შენიშვნა და საქმიანი წინადადებანი, რომლებსაც ამომრჩევლები წამოაყენებენ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების პასუხსაგები და საპატიო მოვალეობაა დროულად და ორგანიზებულად დაიწყონ მზადება არჩევნებისათვის, ფართოდ გაშალონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა მოსახლეობაში, სრულად გამოიყენონ არჩევნების ჩატარების მდიდარი გამოცდილება.

აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა საუბრების დროს ნათლად, გასაგებად უნდა მოუთხრონ მოსახლეობას კომუნიზმის მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებზე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გრანდიოზულ გეგმებსა და სასახელო საქმეებზე. ამავე დროს საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე მდგომ პრაქტიკულ ამოცანებთან.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ხელს შეუწყობს მშრომელი მასების კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოქანდაკე თ. ე. ზალკალნისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბვითი ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის **სსრ კავშირის სახალხო მხატვრის** საპატიო წოდება მიენიჭოს მოქანდაკე თეოდორ ედუარდის-ძე **ზალკალნს**, მისი დაბადების ოთხმოც წლისთავთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 5 იანვარი.

ქართულ ენაზე გამოვიდა სახელმძღვანელო „პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად"

სახელგამმა ქართულ ენაზე გამოსცა სახელმძღვანელო „პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად".

წიგნი გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციათა მოლაპარაკების შესახებ

6-7 იანვარს გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციებს შორის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბაროვი, მ. ა. სუსლოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ამხ. დ. ტ. შეპილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ამხ. ვ. ულბრიხტი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ამხანაგები ო. გროტევოლი, ჰ. რაუ, გ. მატერნი, კ. შირდევანი, ფ. ელსნერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ამხანაგები ბ. ლაიშნერი, ა. ნოიმანი.

მოლაპარაკების დროს, რაც მიმდინარეობდა ამხანაგური ურთიერთგაგებისა და პარტიული სოლიდარობის ვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა აზრი გაუზიარეს ერთმანეთს საკითხებზე, რომლებიც ეხება ორი პარტიის ურთიერთობას, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. ორივე დელეგაციამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სავსებით ემთხვევა ერთმანეთს მათი პარტიების შეხედულებანი მოლაპარაკების დროს აღძრულ ყველა საკითხზე.

აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის ძმური კავშირი, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპები, განუხრელად ფართოვდება და მტკიცდება, რაც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ორი ქვეყნის ურთიერთობაზე სახელმწიფოებრივი ხაზით, აგრეთვე ხელს უწყობს საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

ორივე პარტიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ როგორც ევროპაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მჭიდროდ დარაზმვის ინტერესები, ისე აგრეთვე მათ ქვეყნებში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ინტერესები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის, ორივე ქვეყნის მუშათა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას, მათს მჭიდრო თანამშრომლობასა და მათ შორის გამოცდილების გაზიარებას.

საერთაშორისო საკითხებზე აზრის გაზიარების დროს მოლაპარაკების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ უკანასკნელ ხანს იმპერიალისტურმა რეაქციამ გააძლიერა ცდები — შეიტანოს გათიშვა სოციალისტური სახელმწიფოებისა და კომუნისტური პარტიების რიგებში, ანტიკომუნისტური ისტერიისა და პროვოკაციების ახალი ტალღის საშუალებით გამოიწვიონ უნდობლობა სოციალისტური ბანაკის პოლიტიკისადმი და ამით დაასუსტონ სოციალიზმის იდეების უდიდესი მიმზიდველი ძალა, რომლებიც თავიანთი გავლენით მოიცავენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს. აგრესიული წრეები იმედოვნებენ არევდარევა შეიტანონ კომუნისტური და მუშათა პარტიების რიგებში, რათა ძირი გამოუთხარონ მათ გავლენას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლაში.

ორივე პარტიის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, მილიტარიზმისა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხების, არამედ აგრეთვე საფრანგეთის, პოლონეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ხალხების, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხების მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

ამ პირობებში შეხვედრის მონაწილეთ უწინარეს ყოვლისა საჭიროდ მიაჩნიათ, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიები დაირაზმონ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე და ერთობლივად იმოქმედონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშვიდობისმოყვარული ძალების გასაერთიანებლად იმპერიალისტური რეაქციის შემოტევის წინააღმდეგ. ეს ავალებს კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების რევიზიის ყოველგვარ ცდას. ამასთან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების შეხედულებანი და მოქმედება ერთიანი იყოს სოციალიზმის მშენებლობის ძირეულ საკითხებზე. ორივე პარტიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ როცა თვითეულ ქვეყანას აქვს ეროვნული თავისებურებანი და სოციალიზმის მშენებლობის თავისებური ფორმები და მეთოდები, სოციალიზმის ძირითადი და მთავარი გზები საერთოა ყველა ქვეყნისათვის.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციამ განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია ცნობაში ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების წარმომადგენელთა ბუდაპეშტის შეხვედრის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციები შეთანხმდნენ იმაზე, რომ გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის კვლავაც შენარჩუნებული იქნება მჭიდრო ურთიერთობა და განხორციელდება ურთიერთდახმარება, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების მოძმე პარტიებს შორის კავშირის განმტკიცებას. ორივე მხარე განახორციელებს ღონისძიებებს კონტაქტისა და გამოცდილების გაზიარების გასაფართოებლად, როგორც პარტიული ხაზით (პარტიული დელეგაციების, პარტიული გამოცემების, პარტიულ სკოლათა მსმენელების გაცვლა), ისე პროფკავშირული, ახალგაზრდობის, პრესის ხაზით და სხვ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა დარბაზობა გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

7 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები პრემიერ-მინისტრის ო. გროტევოლის მეთაურობით.

სტუმართა შორის იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე ხე ლუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები ვან ძია-სიანი და ლიუ სიაო.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბაროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მსახიობები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

დარბაზობაზე იყვნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები.

დარბაზობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის სადღეგრძელო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა შემდეგ წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის სადღეგრძელო.

მოლაპარაკების შედეგები, თქვა ნ. ა. ბულგანინმა, მიმართა რა სტუმრებს, ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ძმური მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას, აგრეთვე მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალების შემდგომ დარაზმვას. ნ. ა. ბულგანინმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს მშვიდობის საქმისათვის, თავიანთი რესპუბლიკის უშიშროების განმტკიცებისათვის, მისი ეკონომიკის განვითარების, მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. მათ შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ იქნება მათი საიმედო და ერთგული მეგობარი ამ საქმეში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა ილაპარაკა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის თავისებურებებზე, რომლებიც გამომდინარეობენ ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტიდან, რომლებიც ვითარდებიან სხვადასხვა გზით. ის ფაქტი, თქვა ოტო გროტევოლმა, რომ ჩვენ მჭიდროდ და მეგობრულად ვართ დაკავშირებულნი საბჭოთა კავშირთან — სოციალიზმისა და მშვიდობის სახელმწიფოსთან, ჩვენ — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — გერმანიაში მუშებისა და გლეხების პირველ სახელმწიფოს — გვაძლევს რწმენას, რომ შევძლებთ წარმატებით გადავჭრათ ის რთული და ძნელი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას როგორც გერმანიაში ეროვნული ბრძოლის დიდი პრობლემების გადაჭრის საქმეში, ისე სოციალიზმის აშენების საქმეში.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქრისტიან დემოკრატთა კავშირის თავმჯდომარემ ოტო ნუშკემ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ლოტარ ბოლცმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ჰანს ლოხმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ პაულ შოლცმა.

დარბაზობის მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი.

დარბაზობამ განსაკუთრებული გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები

8 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ამხანაგი ჯოუ ენ-ლაი.

მიღებას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები — პრემიერის მოადგილე ხე ლუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამხანაგი ვან ძია-სიანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ამხანაგი ლიუ სიაო.

საბჭოთა კავშირის მხრივ მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინი. (საკდესი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა 8 იანვარს დილით კრემლში მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე ხე ლუნი და მთავრობის დელეგაციის წევრები — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვან ძია-სიანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო, რომლებიც სსრ კავშირში ჩამოვიდნენ მეგობრული ვიზიტით.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინი. (საკდესი).

ერთი წელი ანტარქტიდაში

ერთი წლის წინათ ამ დღეებში „ობი" მხოლოდ უახლოვდებოდა ანტარქტიდის უცნობ ნაპირებს. გავიდა წელიწადი. და აი ისევ ანტარქტიდაში იანვრის თვალისმომჭრელი ზაფხულია და „ობი" კვლავ ამ ნაპირებთან არის, მაგრამ ხომალდი ამჯერად უგზოუკვლოდ როდი დადიოდა ყინულებში. თვითმფრინავ „ილ-12"-ის ეკიპაჟმა, რომელიც ზედიზედ მრავალი თვეს სწავლობდა ზღვის ყინულებს, უჩვენა მას ყველაზე უკეთესი და ყველაზე ადვილი გზა. წინ გაურკვეველი მდგომარეობა აღარ იყო, წინ იყო მირნი, სუსხიანი ანტარქტიკული მიწის ნაკვეთი, რომელზეც საბჭოთა ადამიანები დამკვიდრდნენ.

განვლილ წელს მანამდე უკაცრიელ ნაპირზე აშენდა და მოეწყო თანამედროვე გეოფიზიკური ობსერვატორია. გამოკვლეულია ბანგერის ანტარქტიკული ოაზისი. მოეწყო მარხილ-ტრაქტორის მატარებლის უმაგალითო ლაშქრობა ქარბუქისა და ქარიშხლის დროს კონტინენტის შიდა ოლქებში, შეიქმნა კონტინენტის შიგნითა სამეცნიერო სადგური „პიონერსკაია", მოეწყო სამეცნიერო სადგური ოაზისში. შეიძლებოდა განგვეგრძო ეს სია იმისა, რაც მკვლევარებმა გასულ წელს გააკეთეს.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ მიღწეულია ექსპედიციის ძირითადი მიზანი: შეიქმნა და წარმატებით მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ პოლარული ბაზა — მირნი საბჭოთა ანტარქტიკული კვლევის ცენტრი.

მთელი წლის განმავლობაში, მიუხედავად მკაცრი სტიქიისა, უინვასა და ქარიშხალში ეს არ შეწყვეტილა დიდი და მნიშვნელოვანი მეცნიერული მუშაობა თხუთმეტი დისციპლინის დარგში. ძნელია ჩამოვთვალოთ წლის განმავლობაში მიღებული უაღრესად საინტერესო მასალები. რამდენი ახალი რამ შეიტყეს მკვლევარებმა ამ იდუმალი მხარის გეოლოგიური წარსულისა და აწმყოს შესახებ, მისი ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, ატმოსფერული პროცესების, უინულთა ბუნების შესახებ, რომლებიც მძლავრი ჯავშანივით ფარავენ ანტარქტიდის მიწას. საბჭოთა მეცნიერებმა სახელოვან მფრინავებთან ერთად არა ერთი შესწორება შეიტანეს „პრავდის" ნაპირის რაიონის გეოგრაფიულ რუკებში.

ანტარქტიდაში პირველი საბჭოთა ზამთრობის მონაწილეებმა, რომელნიც მალე ბრუნდებიან სამშობლოში, მუშაობა დაიწყეს შიშველ ადგილზე პირქუშ კლდეებთან. მათს ხსოვნაში არასოდეს არ წარიხოცება სუსხიანი ზამთრის მძიმე თვეები, როცა იშვიათად ყოფილა უქარიშხლო დღე, არ წარიხოცება ჩვენი მფრინავების პირველი უშიშარი ფრენა, გაბედული ლაშქრობა ხმელეთზე.

ახლა ანტარქტიდაში ჩამოვიდა საბჭოთა მკვლევარების ახალი რაზმი, რომელიც უკვე შეუდგა სამუშაოთა მეორე, დიდი ეტაპის განხორციელებას. ექსპედიციამ დაიწყო მზადება შიდაკონტინენტური სამეცნიერო სადგურების „აღმოსავლეთისა" და „სოვეტსკაიას" შესაქმნელად. დიდმა მარხილთა მატარებელმა, რომელსაც ბუქსირობენ მუხლუხა საწევრები, ძნელ პირობებში გაიარა დაახლოებით 200 კილომეტრი კოხტინენტის სიღრმეში სადგურ „პიონერსკაიასკენ", რომელსაც გამოიყენებენ როგორც შუალედ დამხმარე ბაზას. ანტარქტიდის შიდა რაიონებში საინტერესო რეისს აკეთებს ამჟამად მკვლევართა ჯგუფი, რომელიც ზომავს კონტინენტური ზეგნის უინულის სისქეს. მშენებლები, რომლებიც „ობით" ჩამოვიდნენ, მირნში აგებენ მკვიდრ თბილ სახლებს სამხრეთ გეომაგნიტურ პოლუსზე სადგურ „აღმოსავლეთის" მოზამთრეებისათვის.

გასული წელი მეტად ნაყოფიერი იყო ანტარქტიდის საბჭოთა და უცხოელ მკვლევართა შორის ფართო მეცნიერული კონტაქტის დამყარების მხრივაც.

ამჟამად მირნისაკენ მიდიან თბომავალი „კოოპერაცია" და დიზელ-ელექტრომავალი „ლენა". ანტარქტიდაში საბჭოთა ზამთრობის მონაწილენი მოუთმენლად ელიან ცვლის ჩამოსვლას, რათა სასახელო ესტაფეტი გადასცენ მას.

ი. დენისოვი.

(საკდესის სპეც. კორ.).

ანტარქტიდა, მირნი, 8 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მებაღეობა

პარტიის XX ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის თავდადებით შრომობენ გორელი კოლმეურნეები. 1956 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 10 ათასი ცენტნერი ხილი, 15 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი და 5 ათასი ცენტნერი ბოსტნეული. კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა 45 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომადღის ღირებულება.

მებაღეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლის ნიშნით ჩაიარა გორის რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

— როგორც კონფერენციის მონაწილეთათვის ცნობილია, — თქვა მომხსენებელმა, პარტიის გორის რაიკომის მდივანმა ი. რთველიაშვილმა, — მებაღეობას რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს. ხეხილის ბაღები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 10.037 ჰექტარზეა გაშენებული. ყოველწლიურად მებაღეობიდან ფულადი შემოსავალი კოლმეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავლის 40-50 პროცენტს შეადგენს, ხოლო ზოგჯერ — 60-65 პროცენტსაც.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულად და დროულად გატარების შედეგად ყოველწლიურად შეიძლება ხილის უხვი მოსავლის მიღება. ამის მაგალითებს იძლევიან სოფლების კარალეთის, მერეთის, ქვეშის, ფლავის, კარბის, ზერტის, ზედდულეთის, ტყვიავის, ნიქოზის და სხვა კოლმეურნეობები. ამ კოლმეურნეობათა მოწინავე ბრიგადები ყოველთვის ხილის მყარ მოსავალს იღებენ.

მაგრამ რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში ხეხილის ბაღებს არადამაკმაყოფილებლად უვლიან. აგროტექნიკურ ვადებში და ხშირად მთელ ფართობზე არ ხდება ნიადაგის დამუშავება: რიგთაშორის ხვნა, კულტივაცია, ძირების შემობარვა-შემოთოხნა. ყურადღება არ ექცევა მცენარეთა გასხვლას, შტამბის შემოფხეკას და შეთეთრებას. მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხეხილის ბაღებში მინერალური და ორგანული სასუქები ან სრულებით არ შეაქვთ, ანდა შეაქვთ მეტად მცირე რაოდენობით.

კამათის მონაწილე დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს სოფლების შინდისის, ვარიანის, ბერბუკის, ახალუბნის, ტირძნისის, მეღვრეკისისა და ხურვალეთის კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ხილის დაბალი მოსავლის მიღებისათვის.

მეხილეობის განვითარების საქმეში არსებული ეს სერიოზული ნაკლოვანებები იმას მოწმობს, რომ პარტიის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები სისტემატურ და ენერგიულ მუშაობას არ ეწევიან თვითეულ კოლმეურნეობაში მებაღეობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი დასახა ხეხილის ბაღებისა და ვენახების მოსავლის გადიდებისა და ახალი ბაღვენახების გაშენების უზრუნველსაყოფად. პარტიის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეხილეობის განვითარების საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ რესპუბლიკის სხვა რაიონებისათვის ეს გამოცდილების სკოლა იყოს.

სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების" თავმჯდომარემ მ. ჯაშაშვილმა ყურადღება გაამახვილა ხილის დაბალი მოსავლის გამომწვევ მიზეზებზე.

— გორის მტს-ი, — თქვა მან, — ცუდად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს. 1956 წელს 50 ჰექტარი ხეხილის ბაღი მოუხნავი დაგვრჩა, მტს-მა მხოლოდ 34 ჰექტარის დამუშავება შეძლო. 314 ჰექტარი ბაღის მოვლა-დამუშავება ძირითადად საკუთარი ძალებით გვიხდება. მტს-ს საკმაო რაოდენობით არა აქვს იარაღ-მანქანები ბაღებში სამუშაოდ. ამასთან ხეხილის ბაღებში მცირე რაოდენობით შეგვაქვს მინერალური სასუქები, რადგან რაიონის კოლმეურნეობები ცუდად მარაგდებიან სასუქებით. ყოველივე ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

— გასულ წელს, — აღნიშნა სოფელ ძევერის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. წიქარიძემ, — ხილის ძალიან დაბალი მოსავალი — ჰექტარზე 7,9 ცენტნერი მივიღეთ. ცუდად ვიმუშავეთ, ჯეროვნად ვერ დავამუშავეთ ბაღები. კოლმეურნეობის გამგეობას, პარტიულ ორგანიზაციას მებაღეობის დარგში ჩამორჩენის დასაძლევად პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მეტი დახმარება სჭირდებათ. პარტიის რაიკომის მდივანი გორის მტს-ის ზონაში რ. ბზიშვილი და ინსტრუქტორი გ. თეგეტაშვილი პრაქტიკულად ძალიან ცოტას გვეხმარებიან.

ახალსოფლის მტს-ის დირექტორმა დ. საამიშვილმა სწორად ცნო მტს-ის მუშაობის კრიტიკა და აღუთქვა კონფერენციის მონაწილეებს, რომ ახალ სამეურნეო წელს მექანიზატორები ყველაფერს გააკეთებენ დავალებათა გასანაღდებლად. ამასთან მან აღნიშნა, რომ მტს-ს არა აქვს ტიპური სახელოსნო, იარაღ-მანქანების მოსათავსებელი ფარდულები. ამის გამო ძვირფასი ტექნიკა ღია ცის ქვეშ არის. ასეთ პირობებში მანქანების რემონტი ძვირი ჯდება, ხარისხი კი დაბალია.

— ჩვენს ბაღებში, — თქვა ვარიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა თ. ალავერდაშვილმა, — ხეხილის მნიშვნელოვანი ნაწილი დაავადებულია „ვაშლის დიდი ფარიანით" და „მაქაურათი", ადგილზე წარმოებულ ღონისძიებებს ჯეროვნად კარგი შედეგები არ მოაქვს. ამიტომ გვესაჭიროება მცენარეთა დაცვის თბილისის საკვლევი ინსტიტუტის მუშაკთა დახმარება, მათი რჩევა-დარიგება.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილი.

კონფერენციამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

* * *

გაიმართა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ი. რთველიაშვილი, მეორე მდივნად — ი. ტოლიაშვილი, რაიკომის მდივნებად: ახალსოფლის მტს-ის ზონაში — ვ. ზეთლემიძე, გორის მტს-ის ზონაში — რ. ბზიშვილი, ტყვიავის მტს-ის ზონაში — ს. გოდერძიშვილი.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მევენახეობის მკვეთრი აღმავლობისათვის

მევენახეობას თერჯოლის რაიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქ ვაზი დიდ ფართობებზეა გაშენებული. თერჯოლელი კოლმეურნეები სახელმწიფოს ათასობით ტონა მაღალხარისხოვან ყურძენს აბარებენ. გარდა ამისა, კოლმეურნეობებში მისდევენ მეცხოველეობას, თესავენ სიმინდს, სოიას და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის ამ დარგების განვითარებაში შესამჩნევი წარმატებებია მოპოვებული. გასულ წელთან შედარებით წელს სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე 2,6 ცენტნერით გადიდდა. ერთ ძროხაზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 კილოგრამისა მიღებულია 825 კილოგრამი რძე. განსაკუთრებით კარგად იმუშავა სოფელ თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ წელს, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, ყურძნისა და სიმინდის მაღალი მოსავალი მიიღეს. მაგრამ მოწინავე კოლმეურნეობები რაიონში თითებზე ჩამოსათვლელია.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ის, რომ სრულად ვერ იყენებენ კოლმეურნეობებში არსებულ რეზერვებს, სუსტია შრომის დისციპლინა, სათანადო ყურადღება არ ექცევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ხარისხს, დაბალია კომუნისტების ავანგარდული როლი, კოლმეურნეთა შორის არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

თერჯოლის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა პ. სახეჩიძემ და კამათის მონაწილე დელეგატებმა ილაპარაკეს ამ ნაკლოვანებებზე, ყურადღება გაამახვილეს რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარებაზე, მიუთითეს ჩამორჩენის დაძლევის გზებსა და საშუალებებზე, წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი „საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობისა და მებაღეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილების წარმატებით განხორციელებისათვის.

სოფელ საზანოს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე ვ. ბარამიძემ უსაყვედურა რაისაბჭოს აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილების მუშაკებს, რომლებიც ცუდად ეხმარებიან კოლმეურნეობებს პირუტყვის ნაგებობათა მშენებლობის საქმეში. მაგრამ ამხ. ბარამიძე თავის გამოსვლაში არ შეეხო საკოლმეურნეო წარმოების მტკივნეულ საკითხებს. მან მორიდებით გააკრიტიკა მტს-ის ხელმძღვანელები, სინამდვილეში კი ხასაყვედურო ძალიან ბევრია. წელს კოლმეურნეობის ფართობის დიდ ნაწილზე მტს-ს სრულებით არ ჩაუტარებია მზრალად ხვნა.

როგორც კონფერენციაზე რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. შულლაძემ თქვა, თერჯოლის რაიონს მევენახეობის განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვს. კოლმეურნეობებში მუშაობენ მოწინავე მევენახეები, გამოცდილი აგრონომები, შესანიშნავი მექანიზატორები. მაგრამ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების სრულად გამოყენებას, სამწუხაროდ, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამიტომ გასულ წელს სახელმწიფოს ნაკლები ყურძენი ჩავაბარეთ, ვიდრე 1955 წელს. ამინდის ცუდი პირობების გარდა ეს იმითაც აიხსნება, რომ ვერ მოვსპეთ ვენახების სიმეჩხრე. ორჯონიკიძის, კალინინის, კლდიაშვილის სახელობის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში ვენახების სიმეჩხრე 20-25 პროცენტს აღწევს.

თერჯოლის მტს-ის დირექტორმა დ. გიორგაძემ თავისი სიტყვა მიუძღვნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაობისა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს.

— ბევრ კოლმეურნეობაში, — თქვა მან, — დაბალია მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე, შრომის დისციპლინა. შრომისუნარიან კოლმეურნეთა ერთი ნაწილი აქტიურად არ მონაწილეობს საზოგადოებრივ წარმოებაში, ჯერ კიდევ დაბალია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. რაიონის კოლმეურნეობებს საშპალერე მავთული და აზოტოვანი სასუქები აკლიათ. მტს-ის აგრონომიული პერსონალი დიდ სიძნელეებს აწყდება საკოლმეურნეო ფართობებში მინერალური სასუქების შეტანისას. ეს გამოწვეულია იმით, რომ არ ვიცით სად, რომელ ფართობში რამდენი და რა სახის მინერალური სასუქი შევიტანოთ. კარგახანია სოფლის მეურნეობის სამინისტრო გვპირდება ნიადაგის შემადგენლობის განმსაზღვრელ სპეციალურ აპარატს, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება.

კომკავშირის რაიკომის მდივანმა ვ. ხუჯაძემ გააკრიტიკა სავაჭრო ორგანიზაციების ნაკლოვანებები, მაგრამ მან არაფერი თქვა იმაზე, თუ რა მუშაობას ეწევიან კომკავშირის რაიკომი და პირველადი ორგანიზაციები ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

დელეგატების ერთმა ნაწილმა სამართლიანი შენიშვნები გააკეთა რაიონის ცენტრის კეთილმოწყობის ნაკლოვანებების გამო. აღინიშნა, რომ რაიონის ცენტრს დღემდე არა აქვს კულტურის სახლი, საკმაო რაოდენობით არა აქვს სასმელი წყალი და სხვ. დელეგატებმა გააკრიტიკეს პროკურატურისა და მილიციის ორგანოები და უსაყვედურეს, რომ ისინი სუსტად ეწევიან ბრძოლას საკოლმეურნეო ქონების დამტაცებლებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევების წინააღმდეგ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ი. ქადაგიძემ.

კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი პარტიული მუშაობის გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია პ. სახეჩიძე, მეორე მდივნად — გ. თურქაძე, მდივნად მტს-ის ზონაში — ვ. ბუსკივაძე.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება

მ ა წ ი მ ს გ ა ღ მ ა



თავისი სიპატარავის გამო ჩვეულებრივ რუკაზე ვერ ნახავთ მდინარე მაწიმს, მაგრამ აზერბაიჯანისა და საქართველოს ორი მეზობელი რაიონის — ლაგოდეხისა და ბელაქნის მშრომელები მას კარგად იცნობენ. მდინარის ჩრდილოეთით, სადაც ლაგოდეხელთა და ბელაქნელთა თვალწინ კავკასიონის ჭადარა მთები აზიდულან, იქ იღებს სათავეს მაწიმი. იგი ორი მოძმე რესპუბლიკის მდინარეა, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარია.

წყვილმა მსუბუქმა ავტომანქანამ მაწიმის ხევი გადასერა, ვრცელ გორებს შემოუარა და კაკლის გრძელ ხეივანს გაჰყვა. გზადაგზა ხავსმოდებული ქვიტკირის გალავნები მოჩანდა... ლაგოდეხელები სტუმრად მიდიოდნენ ბელაქნელებთან.

ლამაზი და თვალწარმტაცია აზერბაიჯანის ეს კუთხე.

აი, გამოჩნდა მთის ძირში ვერცხლისფერი რეზერვუარები, რიგში ჩამწკრივებული კომბაინები, ტრაქტორები. ეს კახის მანქანა-ტრაქტორთა სადგურია.

მტს-ის ეზოშია ადმინისტრაციული შენობა, სახელოსნო, მექანიზატორთა საცხოვრებელი სახლები.

სტუმრებს ეზოში აზერბაიჯანელი მეგობრები შემოეგებნენ. მეოთხე წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან ვარდისუბნისა და კახის მტს-ების მექანიზატორები. ისინი არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს, ამიტომაც იყო, რომ კახის მტს-ის დირექტორმა ალიხიარ ხაირამოვმა ახლობელივით მოიკითხა ვარდისუბნის მტს-ის დირექტორი ვახტანგ გველესიანი. კახის მტს-ის მთავარი ინჟინერი ერმალოზ ოთარიშვილი და სხვა მექანიზატორები ბევრჯერ ყოფილან ლაგოდეხის რაიონში, ვარდისუბნელებთან, გამოცდილების გასაცნობად. მათ აქ შეისწავლეს ტრაქტორების კვანძური მეთოდი და სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის წესები.

ა. ხაირამოვმა სტუმრებს გააცნო მტს-ის მუშაობა. კახის მექანიზატორებმა, რომლებიც 15 კოლმეურნეობას ემსახურებიან, გასულ წელს დიდი მუშაობა გასწიეს. მტს-ის ზონაში შემავალმა კოლმეურნეობებმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს მატყლის პარსვის გეგმა (პარსვა აქ მთლიანად მექანიზებულია). 2,4 კილოგრამი მატყლის ნაცვლად თვითეულ ცხვარზე 2,9 კილოგრამი ნაპარსი მიიღეს. წარმატებით შეასრულეს დასილოსების გეგმები. დავალების გადამეტებით ჩადეს 6.000 ტონა სიმინდი რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის პერიოდში, აქედან 3.000 ტონა მარტო სიმინდის ტარო დააკონსერვეს. თავი ისახელეს თამბაქოს მოყვანასა და ჩაბარებაშიც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ კახის კოლმეურნეობებმა არსებითად გარდაქმნეს მუშაობა. საგრძნობლად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ამაღლდა შრომადღეების ღირებულება. სოფელ სარბაშის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც გასან მირზოევი ხელმძღვანელობს, 34.000 სული ცხვარი ჰყავს. აქ მატყლის მიღების გეგმას თვითეულ ცხვარზე 0,7 კილოგრამით გადააჭარბეს, პირუტყვისათვის ააგეს კეთილმოწყობილი ბინები, დიდი გადაჭარბებით შეასრულეს უხეში და კონცენტრირებული საკვების დამზადების 1956 წლის გეგმა. თუ წინა სამეურნეო წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ 210 ლიტრი რძე მიიღეს, შარშან 500 ლიტრს გადაამეტეს. სარბაშელ კოლმეურნეებს ბევრი სახელოვანი მწველავი ჰყავთ. ჯ. ახმედოვმა 10 საფურაჟე ძროხიდან თვითეულზე 650 ლიტრის ნაცვლად 3.500 ლიტრი რძე მოწველა, ხოლო ნ. სარქისოვმა — 2.722 ლიტრი. კოლმეურნეობის შემოსავალი შარშანდელთან შედარებით მილიონი მანეთით გაიზარდა.

...ვარდისუბნის მტს-ის მექანიზატორი ალექსანდრე სომხიშვილი და აზერბაიჯანში სახელგანთქმული სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი იბრაგიმ ყულიევი განცალკევებით საუბრობდნენ. ფოლადისფერი სახის ხმელხმელი იბრაგიმი ღიმილით შესცქეროდა მეგობარს, მას უბის წიგნაკი ამოეღო და ნავთით გაპოხილ გვერდებს ფურცლავდა, რაღაც ციფრებს აჩვენებდა ალექსანდრეს.

შარშანწინ ყულიევის ბრიგადამ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში, გასულ წელს კი სომხიშვილისამ აჯობა. მისმა ბრიგადამ მაღალხარისხოვნად ჩაატარა ყველა სამუშაო, წარმატებით დაამთავრა საშემოდგომო ხვნათესვა. იბრაგიმის ბრიგადას კი თესვა ჯერაც არ დაუმთავრებია, ჩამორჩა მზრალად ხვნაშიც.

უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს ვარდისუბნელებმა წველადობის ამაღლებაში, საშემოდგომო თესვის, მოსავლის აღების ვადების დაცვაში, სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის, მზრალად ხვნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში.

თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს ვარდისუბნის მტს-ის აგრონომმა თ. მეტრეველმა, მთავარმა ზოოტექნიკოსმა გ. გოგიტაშვილმა და ყარსუბნის „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფორე ხუციშვილმა. მტს-ის პარტბიუროს მდივანმა დ. ბატიაშვილმა დამსწრეთ გააცნო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება.

მოძმე რესპუბლიკების მექანიზატორებმა ახალი ვალდებულებები აიღეს, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება გააფორმეს.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — კახის (აზერბაიჯანის სსრ, ბელაქნის რაიონი) მტს-ის დირექტორი ა. ხაირამოვი აცნობს სტუმრებს ახალ თვითმავალ კომბაინს. ქვემოთ — კახის მტს-ის დირექტორი ა. ხაირამოვი მოუთხრობს ვარდისუბნის მტს-ის დირექტორს გ. გველესიანს, თუ როგორ დანერგეს მათ ტრაქტორების რემონტის კვანძური მეთოდი.

ჩვენი წარმატებანი

ვიბრძვით რა მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, განსაკუთრებით სერიოზული მიღწევები მოვიპოვეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში. მეცხოველეობაში გასულ სამეურნეო წელს 126 სული ადგილობრივი ჯიშის ძროხიდან თვითეულზე მივიღეთ 1.007 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 850 კილოგრამისა. თვითეულ ცხვარზე მიღებულია 3 კილოგრამზე მეტი მატყლი გეგმით გათვალისწინებული 2,5 კილოგრამის ნაცვლად. კოლმეურნეობამ მთლიანად შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები.

ახლა ენერგიულად ვმუშაობთ პირუტყვის ჯანსაღად გამოზამთრებისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

ალ. ხუცურაული,
დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

— სოფელ რუფოთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში უხეშად ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, არეულია საბუღალტრო საქმეები, — იტყობინებოდნენ რედაქციის სოფლკორები თერჯოლის რაიონიდან.

მამხილებელი წერილის გარშემო იმსჯელა საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის ბიურომ. წერილში მხილებული ფაქტები დადასტურდა. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი უყურადღებობისა და გულგრილი დამოკიდებულებისათვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს შ. ვ. ლომიძეს გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით და წინადადება მიეცა სრული წესრიგი დაამყაროს კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის გაუწევლობისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ი. ჭანკვეტაძეს საყვედური გამოეცხადა. კოლმეურნეობის აღრიცხვა-ანგარიშწარმოების დარგისადმი უყურადღებობისათვის რაიკომის ინსტრუქტორს მტს-ის ზონაში კ. ცქიფურიშვილს მიეთითა.

სოფელ რუფოთის კოლმეურნეობის საწყობის გამგეების, ბრიგადირებისა და სხვათა მასალები დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად გადაეცა პროკურატურას.

წველადობა კლებულობს, პირუტყვის გამოზამთრება საფრთხეში

ნაადრევმა ზამთარმა მოუმზადებელს ვერ მოუსწრო ზუგდიდის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებს, რომლებმაც თავის დროზე ყველაფერი გააკეთეს პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. გაბედავა), სადაც გასულ სამეურნეო წელს წველადობის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს, 6.709 ცენტნერის ნაცვლად დაამზადა 7.450 ცენტნერი უხეში საკვები. თივის დამზადების გეგმა აქ 141 პროცენტით შეასრულეს. გადაჭარბებით გაანაღდეს საკვების დასილოსების დავალებაც.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის ასევე კარგად მოემზადა სოფელ ჩხორიის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე პ. ჭითანავა), სადაც დიდი გადამეტებით შეასრულეს უხეში საკვების დამზადების გეგმა და შექმნეს საკვების სადაზღვევო მარაგი, უზრუნველყვეს პირუტყვი თბილი, კეთილმოწყობილი ბინებით.

მაგრამ ასე როდია ყველგან. ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ქ. შეროზია).

შემოწმების დღეს ჩვენ ვნახეთ ჭურის საზამთრო საძოვრებიდან კოლმეურნეობაში მოყვანილი დამშეული 20 ხბო და ორი ძროხა, რომლებიც ბოსელში უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი. ადგილობრივი ჯიშის პირუტყვისათვის განკუთვნილ ბოსელში აქ ახლა იწყებენ იატაკის დაგებას. მოუწყობელია მისასვლელი გზები. მოუწესრიგებელია მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო პირობები. კაპიტალური ბოსლის გვერდით არის მშვენიერი ოდა-სახლი, რომელიც საწყობად გამოუყენებიათ, მეცხოველეები კი მაღალპროდუქტიული პირუტყვის ბოსელში წვანან. კოლმეურნეობას უხეში საკვების დაგროვების გეგმა არ შეუსრულებია.

ზამთარმა მოუმზადებელს მოუსწრო ცაიშის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ჯ. ჯიჯიხია). აქ აკლიათ უხეში საკვები. მე-11, მე-12 და მე-13 ბრიგადის 30 სული მუშა-პირუტყვი პრიმიტიულ ბოსელშია მოთავსებული. ჩხოუშის ფერმაში შემოწმების დღეს ვნახეთ 35 სული მოზარდი, რომლებიც უჭმელობით დასუსტებული იყვნენ. ყოველივე ამის შედეგად ახალი სამეურნეო წლის ორ თვეში (ოქტომბერ-ნოემბერი) აქ 14 სული პირუტყვი მოკვდა. მნიშვნელოვნად იკლო წველადობამაც.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის ცუდად მოემზადნენ აგრეთვე სოფელ ერგეტის მოლოტოვის სახელობის, ახალკახათის „პრავდის" სახელობის, აბასთუმნის და სხვა კოლმეურნეობები.

მეცხოველეობის, სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის, შეუფასებლობას უნდა მიეწეროს ის, რომ რაიონში 1955 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მიღებული იყო 209.165 კილოგრამი რძე, ანუ საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე — 57,2 კილოგრამი, 1956 წლის იმავე პერიოდში კი მოწველილია 161.749 კილოგრამი, ანუ თვითეულ ძროხაზე — 49,6 კილოგრამი. რძის საერთო რაოდენობა კოლმეურნეობებში შემცირდა 47.416 კილოგრამით, ხოლო ერთ საფურაჟე ძროხაზე — 7,6 კილოგრამით.

პირუტყვის ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად ოქტომბერ-ნოემბერში რაიონში 179 სული პირუტყვი მოკვდა. სოფელ ერგეტის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოუვლელობის შედეგად 21 სული მოზარდი მოკვდა, ორულუში — 17, დიდინეძის კოლმეურნეობაში — 11, გრიგოლიშის როგავას სახელობის კოლმეურნეობაში — 13 სული და ა. შ.

ასეთი სამარცხვინო მდგომარეობა იმითაც აიხსნება, რომ რაიონის ვეტმუშაკები სუსტად იბრძვიან მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის, პირუტყვის სიკვდილიანობის წინააღმდეგ.

საკვების ისედაც შეზღუდული მარაგის პირობებში 35 კოლმეურნეობიდან საკვების წინასწარი შემზადება მხოლოდ ოთხშია მოწყობილი. ცხადია, ეს გარემოებაც იწვევს უხეში საკვების გადახარჯვას, ადგილი აქვს დანაკარგებს და საკვების ყუათიანობაც დაბალია. შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დაბალი დონის შედეგად მეცხოველეობაში საჭირო რაოდენობაზე მეტი ადამიანებია დასაქმებული.

მივიწყებულია მეცხოველეთა შორის პარტიულ-პოლიტიკური და საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. მეცხოველეებთან არ ეწყობა აგიტაცია-საუბრები, არ გამოდის საველე გაზეთები. უფრო მეტიც: რაიონში ბევრია მოწინავე მეცხოველე, რომელთა მუშაობის განზოგადებას არავინ ახდენს. ბევრგან გაშლილი არ არის სოციალისტური შეჯიბრება, ხოლო იქ, სადაც არის, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებისათვის არავინ ზრუნავს. ამ მხრივ რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ზუგდიდის მტს-ის ზონაში სუსტად მუშაობს.

საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

„კომუნისტის" ბრიგადა:
დ. ჭითანავა,
ზუგდიდის მტს-ის უფროსი ზოოტექნიკოსი,
დ. ფაჭავა,
რაიგაზეთ „მებრძოლის" რედაქციის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე,
ვ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მუშსოფკორთა ყრილობის წინ

კრება თბილისში

მუშა და სოფლის კორესპონდენტების კრებას, რომელიც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა მოიწვია, ესწრებოდნენ მუშები, ტექნიკოსები, ოსტატები, ინჟინრები, კოლმეურნეები და მექანიზატორები, პედაგოგები და ექიმები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები.

მოხსენებით „მუშსოფკორთა მოძრაობის ამოცანების შესახებ" გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ჭახრაკია.

მომხსენებელმა თქვა, რომ ქალაქში ამჟამად გამოდის 10 რესპუბლიკური, 1 რაიონული, 6 მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთი და დაახლოებით 2.500 კედლის გაზეთი. მათმა უმრავლესობამ უკანასკნელ დროს საგრძნობლად გამოაცოცხლა მუშაობა. თავიანთ ფურცლებზე ისინი აყენებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მეტ კონკრეტულ, პრაქტიკულ საკითხებს, ამხილებენ ნაკლოვანებებს ამ საქმეში, ახდენენ მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას.

კრებაზე კარგი შეფასება დაიმსახურეს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კედლის გაზეთებმა. მაგალითად, ახალ სართავ საამქროში გასულ წელს გამოიცა კედლის გაზეთის 14 ნომერი. ისინი სწორად ასახავენ საწარმოს ცხოვრებას. ფართოდ აშუქებენ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის, წარმოების მოწინავეთა გამოცდილების საკითხებს.

სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის კედლის გაზეთის რედაქტორმა ე. ლეზინმა, გარეუბნის რაიონის გაზეთ „სტალინის დროშის" სოფლკორმა ვ. ავალიშვილმა, მუშკორმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. სუხინმა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გაზეთ „ელექტროტრანსპორტელის" სარედაქციო კოლეგიის წევრმა ა. დემუროვმა და სხვებმა ილაპარაკეს თავიანთ გამოცდილებაზე კედლის გაზეთების გამოშვების ორგანიზაციაში.

კრებაზე მკაცრად გააკრიტიკეს ზოგიერთი მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთის მუშაობა.

ჩვენი გაზეთების არსებითი ნაკლი, — ხაზგასმით აღნიშნავდნენ კამათში გამოსულები, — წინანდებურად საагიტაციო-პროპაგანდისტული და კულტურულ-მასობრივი მუშაობის არადამაკმაყოფილებლად გაშუქებაა. კედლის გაზეთებში სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ბრძოლა საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის. მათში გამოუყენებელია სატირა და იუმორი.

ბევრი რედაქცია სათანადო ყურადღებას არ აქცევს მშრომელთა ყოფაცხოვრების საკითხებს.

ამ ნაკლოვანებების დაძლევა შეიძლება, თუ ჩვენი გაზეთების გარშემო შევქმნით მუშა და სოფლის კორესპონდენტების ფართო აქტივს, კიდევ უფრო გავშლით მუშსოფკორთა მოძრაობას, რომელიც საბჭოთა დემოკრატიის ერთ-ერთი შესანიშნავი გამოვლინებაა.

უკანასკნელ ხანს რამდენადმე გამოცოცხლდა ხელმძღვანელობა მუშსოფკორთა მოძრაობისადმი. რესპუბლიკურ გაზეთებთან „კომუნისტთან" და „ზარია ვოსტოკასთან" მოწყობილია მუშსოფკორთა კაბინეტები, სადაც ეწყობა ლექციები და საუბრები, კონსულტაციები და სემინარული მეცადინეობა, — მუშსოფკორები, საფაბრიკო-საქარხნო კედლის გაზეთების რედაქტორები და სარედაქციო კოლეგიების წევრები აქ იღებენ პასუხს საკითხებზე, რომლებიც მათ აინტერესებთ, იმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციასა და ოსტატობას.

— და მიუხედავად ამისა, — თქვა თავის გამოსვლაში ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" პარტბიუროს მდივანმა ჩ. ქითანავამ, — კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე ხელმძღვანელობა მუშსოფკორთა მოძრაობისადმი. — მან წამოაყენა წინადადება, რომ რესპუბლიკურ გაზეთებთან არსებულმა მუშსოფკორთა კაბინეტებმა ძირეული პრესის კორესპონდენტთა სწავლება მოაწყონ უშუალოდ ადგილებზე.

ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან გამომავალი კომკავშირული კედლის გაზეთის „ლენინელის" რედაქტორმა ქ. მანჯგალაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საჭიროა გამოიცეს ბროშურები მუშსოფკორების, კედლის გაზეთების მუშაკების დასახმარებლად.

კრება გულთბილად შეხვდა ძველი მუშა კორესპონდენტის ნ. იტრიევის გამოსვლას. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, იგი ახლაც აქტიურად მონაწილეობს პრესაში. ამხ. იტრიევმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ყოველთვის დროზე როდი ხდება რეაგირება კედლისა და ნაბეჭდი გაზეთების კრიტიკულ შენიშვნებზე, რომ ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელები ივიწყებენ იმას, რომ მუშა კორესპონდენტები ის ადამიანებია, რომლებიც სისხლხორცეულად დაინტერესებული არიან წარმოების წარმატებებით, სიტყვით და საქმით ხელს უწყობენ ამ წარმატებებს.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მრავალტირაჟიან გაზეთ „კიროველში" მოთავსებული მასალების ქმედითობის შესახებ, გაზეთის მოთხოვნებზე და საჭიროებებზე ილაპარაკა მისმა რედაქტორმა შ. სალარიძემ. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას უმაღლესი სასწავლებლების გაზეთების მუშაობას.

მუშა და სოფლის კორესპონდენტების აქტივის საქალაქო კრებაზე, რომელიც საინტერესოდ ჩატარდა, კამათში გამოვიდა 9 კაცი. ერთსულოვნად მიღებულ იქნა მიმართვა ქალაქის ყველა მუშკორისა და სოფლკორისადმი.

თბილისის მუშსოფკორთა აქტივის კრებამ აირჩია 151 დელეგატი რესპუბლიკის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მომავალ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარე თვეში შედგება თბილისში.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საქსოვი საამქროს მოწინავე მრავალდაზგიანი მქსოველი ნ. კუპატაძე, რომელიც ყოველთვიურ გეგმას სისტემატურად 130 პროცენტით ასრულებს. ფოტო გ. გერსამიასი.

ამუშავდა მეორე ელექტროღუმელი

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პირველ ლითონსასხმელო საამქროში დამთავრდა მონტაჟი მეორე ფოლადსადნობი ელექტროღუმელისა, რომელიც ახალი წლიდან უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ.

ქარხანაში მეორე ელექტროღუმელის ამუშავებით შესაძლებელი ხდება ჩამოისხას 3-4 ტონა წონის სხმულები (ტვიფრები, დაზგის ნაწილები და სხვა არასტანდარტული დეტალები). გარდა ამისა, ღუმელი სავსებით დააკმაყოფილებს ქარხნის საამქროების მოთხოვნილებას ფოლადით და შესაძლებელია ქარხანამ დაკვეთები მიიღოს სხვა საწარმოებიდანაც.

ელექტროღუმელის მონტაჟს და გამოცდას ხელმძღვანელობდნენ ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი ინჟინერი გ. ჩუბინიძე, საამქროს მექანიკოსი ნ. აბზიანიძე, ენერგეტიკოსი ინჟინერი გ. გოგოლაშვილი და ელექტრომონტიორი ვ. ურბანსკი.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში დაიწყო ფოლადის პირველი საცდელი გამოდნობა. დნობის მთელი პროცესი მიმდინარეობდა გათვალისწინებული ტექნოლოგიის მიხედვით. ელექტროღუმელიდან მიღებული ფოლადის ქიმიურმა ანალიზმა საუკეთესო შედეგები გვიჩვენა.

ა. ბერუჩევი,
ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ინჟინერი.

32 მანეთი შრომადღეზე

ბათუმი. (საქ. კორ.). მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა სამეურნეო წელი ბათუმის რაიონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ. კოლმეურნეობის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობიდან წელს მიღებულია 4 მილიონი 605 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი, რაც ბევრად სჭარბობს გასული წლის შემოსავალს. თვითეულ შრომადღეზე წინსვლელი კოლმეურნეები მიიღებენ 32 მანეთს და 3-4 კილოგრამ მარცვლეულს.

წერილები რედაქციას

საცხოვრებელი სახლების კოლექტიურად მშენებლებს დახმარება სჭირდებათ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, როგორც ცნობილია, მშრომელთა უფართოესი მასების ახალი შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია.

თბილისის ერთ-ერთ უძველეს საწარმოში — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში პლენუმის გადაწყვეტილებების გაცნობის დროს მუშები განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობის გამო და აღნიშნავდნენ, რომ ეს მზრუნველობა მათ აღაფრთოვანებს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ ახალ საწარმოო წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.

ქარხნის კოლექტივმა გასული სამეურნეო წელი მნიშვნელოვანი მიღწევებით დაამთავრა: საერთო პროდუქციის გამოშვების 1956 წლის გეგმა 15 დეკემბრისათვის შესრულა და გადაწყვიტა ყველა საშუალებით უზრუნველყოს რიტმული მუშაობა ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე.

ქარხნის მუშები გულდასმით გაეცნენ თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილებას ოთხი ახალი საცხოვრებელი სახლის აგებაში შრომითი მონაწილეობის მიღების შესახებ; გაეცნენ აგრეთვე გორკის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას და ამასთან დაკავშირებით საქარხნო პროფკავშირული ორგანიზაციის წინაშე დააყენეს მთელი რიგი საკითხები.

საქმე ის არის, რომ ქარხანას აქვს საკუთარი საცხოვრებელი ფონდი, სადაც ქარხნის 540 მუშას, მოსამსახურისა და ინჟინერ-ტექნიკოსის ოჯახებს აქვს მიცემული ბინა. მაგრამ ეს ფონდი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ ქარხნის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მათს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით ეხმარებიან მუშებს ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში. ამ ხელშეწყობის შედეგად ამჟამად ქარხნის ექვსი მოწინავე მუშა თვითონ იშენებს საცხოვრებელ სახლს. გარდა ამისა, 21 მუშა ახლა იწყებს სახლის აგებას. ნოვატორი მექვაბეები დ. ფეიქრიშვილი, ი. ფირანიშვილი და ა. კერვალიშვილი უკვე შესახლდნენ თავიანთ ახალ სახლებში. 15 მუშა შესახლდა ახალ სახლში, 12 მარტოხელა მუშა გადავიყვანეთ საერთო საცხოვრებელში. მაგრამ ქარხანაში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი მუშა, რომელსაც სჭირდება დახმარება საბინაო პირობების გაუმჯობესებაში.

ქარხანაში მოგვეპოვება საბინაო მშენებლობაში საჭირო მასალის საგრძნობი რესურსები. ამ რესურსებიდან 1956 წელს ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს მივეცით და არსებული საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად გამოვიყენეთ 228 კუბმეტრი ძელი, მაგრამ ვარგისი ხე-ტყის მასალა, 5.000 კილოგრამი თუნუქი, 54 კუბმეტრი სხვა საშენი მასალა. გარდა ამისა, ქარხანაში გვყვანან კვალიფიციურ ინჟინრთა ისეთი კადრები, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით უხელმძღვანელონ ბინათმშენებლებს, მრავლად გვყვანან ისეთი მუშები, რომლებსაც ბინები სჭირდებათ, ამავე დროს ბინათმშენებლობაში საჭირო პროფესიებს კარგად ფლობენ.

იშვიათია თბილისში დიდი საწარმო, სადაც პროფესიათა მიხედვით ისეთი მრავალფეროვნება იყოს, როგორც ამ ქარხანაში. აქ მუშაობენ ხუროებიც, დურგლებიც, მეთუნუქეებიც, ზეინკლებიც, შემდუღებლებიც. ასე რომ საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას გარედან მოწვეული კვალიფიციური მშენებლების დახმარება მაინცდამაინც არ დაგვჭირდება.

მუშებმა საქარხნო კომიტეტში დააყენეს საკითხი, რომ დავეხმაროთ მათ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და ახალი საცხოვრებელი სახლების კოლექტიურად აგებისათვის მიწის ნაკვეთების მიცემაში, გზათა სამინისტროს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნების მთავარი სამმართველოს მიერ ახალი ბინათმშენებლობისათვის სახსრების გამოყოფაში, ტიპური პროექტების მიღებაში, ხოლო სამშენებლო სამუშაოთა შესრულებას თვითონ კისრულობენ სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. ქარხნის ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მუშებს ყოველნაირი დახმარება აღვუთქვით და გადავწყვიტეთ მივაღწიოთ იმას, რომ 1957 წლის დასაწყისიდანვე შევუდგეთ ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

მაგრამ ამისათვის საჭიროა დაგვეხმაროს არა მარტო გზათა სამინისტრო, არამედ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭო და სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციებიც — მიწის ნაკვეთების დროულად გამოყოფაში, ტიპური პროექტების მიღებასა და საშენი მასალების მოწოდებაში.

გ. დაუნელი,
თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე.

საზოგადოებრივი კვების ქსელი ჭიათურაში უკეთესად უნდა მუშაობდეს

ჭიათურაში ბოლო დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი კვების საქმე. მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების 20 სასადილოდან თვითმომსახურებაზე გადაყვანილია 16, გაიზარდა კერძების რაოდენობა, გაუმჯობესდა მათი ხარისხი.

მაგრამ ყოველივე, რაც საჭიროა საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად, ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული. ამას წინათ ჭიათურაში შედგა საზოგადოებრივი კონტროლიორებისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა აქტივის თათბირი, რომელზეც გამოირკვა, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას ზოგან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ბევრი სასადილო ცუდად არის მოწყობილი.

როგორც ცნობილია, მესამე კატეგორიის სასადილოების მოწყობა-შეკეთებას უნდა ახდენდეს სამეურნეო ორგანიზაცია, მაგრამ ამ საქმეს მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელები ყურადღებას არ აქცევენ. ვოროშილოვის სახელობის მაღაროს № 2 სასადილოში მოწყობილი არ არის გამდინარე ცხელი წყალი და ამის გამო ჭურჭელს ცივ წყალში რეცხავენ. ასეთივე მდგომარეობაა მუშათა მომარაგების № 17 და მთელ რიგ სხვა სასადილოებში. მეათე სასადილოს შენობა დიმიტროვის სახელობის მაღაროს ტერიტორიაზე კაპიტალურად შესაკეთებელია, სამზარეულოში ჭერი ნახევრად ჩამონგრეულია, იატაკი ზოგ ადგილას აყრილია, კედლები კვამლისაგან გაშავებულია. ასეთსავე მდგომარეობაშია სასადილოები № 11 და № 12. ჯერ კიდევ 1955 წელს ჭიათურის მარგანეცის ტრესტს № 24 გამამდიდრებელ ფაბრიკასთან კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით უნდა აეშენებინა სასადილოს შენობა, მაგრამ არ აუშენებიათ.

ჭიათურის არც ერთ სასადილოში არ მზადდება დიეტური საჭმელები. ბევრ სასადილოში და ქალაქის რესტორანშიც კი კერძების ხარისხი დაბალია, ირღვევა სანიტარული წესები, სასადილოს გამგეები და სამზარეულოს მუშაკები სურსათის დამუშავებისა და კერძების დამზადების დროს სისუფთავის დაცვას ყურადღებას არ აქცევენ. ამის დამადასტურებელია ის, რომ ქალაქის რესტორანში 4 ნოემბერს შემწვარ კატლეტში აღმოჩენილ იქნა მწერი, კაფე-სასაუზმეში „გარეცხილი" ჩაის ჭიქები ჭუჭყიანი აღმოჩნდა.

საზოგადოებრივი კონტროლიორები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, სისტემატურად არ ამოწმებენ სასადილოების მუშაობას, არ წარმოებს საზოგადოებრივი კონტროლიორების მორიგეობა, პროფორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მათს მუშაობას.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაობა.

ქ. ბუაძე,
მშენებელ მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი.

პოეზიაში უკიდურესობათა წინააღმდეგ

მთელი რიგი წლების მანძილზე ჩვენი ლიტერატურა გადატვირთული იყო საწარმოო თემით. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ხშირად სიყვარულის საკითხიც კი საწარმოო გეგმების შესრულებაზე იყო დამოკიდებული.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს იყო საბჭოთა ადამიანის მდიდარი სულიერი სამყაროს ცალმხრივად, ვიწროდ წარმოდგენა. ასეთ ნაწარმოებებში ადამიანი გაძარცული იყო ფიქრებისაგან, გრძნობებისაგან, აზრებისაგან, გადაქცეული იყო მანქანად, რომელიც მხოლოდ უნდა მუშაობდეს.

ეს იყო ერთი უკიდურესობა.

მაგრამ საქმე ისე წარიმართა, რომ ამ ბოლო ხანებში ჩვენს ლიტერატურაში თავი იჩინა მეორე უკიდურესობამ, რომელიც, ალბათ, პირველის საპასუხო რეაქციად უნდა ჩაითვალოს. საქმე ის არის, რომ პოეზიაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა პოეტების ლექსებში, მეტწილად ბალახს, წვიმას, მიწას, ზღვას, მთას, წყარს და მისთანებს დაინახავთ.

ვინ იტყვის, რომ მზეს, წვიმას, ზღვას, ტყეს, ბალახს პოეზიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს? განა არ ვიცით, რომ ბევრმა კლასიკოსმა დიდი ადგილი დაუთმო ყოველივე ამას და სული ჩაუდგა ბუნების საგნებსა და მოვლენებს? განა ლექსის დიდოსტატი ვაჟა-ფშაველა პირიმზეს, ქუჩს, დეკას, ღვიას, წიფელს ისე არ გვიხატავს, რომ ჩვენ ვგრძნობთ მათ, შევიყვარეთ ისინი, ვეფერებით და ვეალერსებით მათ, ახლებურად შევიგრძენით და გავიაზრეთ ისინი? ვაჟაზე უკეთესად ვინ დაგვიხატავს მცენარეთა მშვენიერებასა და „ფსიქოლოგიას", მაგრამ ვაჟა განა მარტო ამას აკეთებდა! ვაჟამ არ დაწერა „ბახტრიონი", „არწივი" და სხვა მრავალი მარგალიტი, რომლებშიც ზედმიწევნით საზოგადოებრივი, ზედმიწევნით ადამიანური და მოქალაქეობრივი საკითხებია დასმული და გადაჭრილი!

არც ერთ ეპოქისა და არც ერთი ერის გამოჩენილ პოეტს დიდების გვირგვინი არ დაუდგამს მარტოოდენ ბალახისა და ზღვის, მდინარისა და მზის სურათების აღწერით. ეს გვირგვინები ყოველთვის კაცთმოყვარული, ადამიანური, საზოგადოებრივი აზრების და წუხილის, სიხარულისა და განცდების ჩვენებას მოჰყოლია.

მართალია, პოეტმა სწორედ იმაზე უნდა წეროს, რასაც უშუალოდ განიცდის, რაც მეტად მახლობელია მისთვის, რაზეც ფიქრობს, მაგრამ ნუთუ ის ახალგაზრდა პოეტი, რომელიც მხოლოდ ბალახისა და ზღვის შესახებ წერს, მხოლოდ ამას ხედავს და განიცდის? განა ცხოვრებაში მარტო ბალახი და ზღვაა? სადღაა ადამიანი თავისი მჩქეფარე სიცოცხლით, სირთულით, მრავალფეროვნებით? რატომ უნდა იზიდავდეს ასეთ პოეტს მხოლოდ ზღვის მღელვარება, კაცისა კი არა, რატომ უნდა იზიდავდეს მზის სიცილი ნაწვიმარზე, ხოლო კაცის სიხარული რაიმე სიძნელის გადალახვის შემდეგ კი არა? რატომ უნდა აღელვებდეს ასეთ პოეტს მხოლოდ მთაში ამტყდარი ავდარი თავისი ჭექა-ქუხილით, ხოლო ადამიანების ცხოვრებაში მომხდარი რაიმე დრამის მიმართ თვალს ხუჭავდეს და ყურებს იცობდეს? აი ეს არის საკითხავი.

ავიღოთ ახალგაზრდა პოეტი მუხრან მაჭავარიანი. არ შეიძლება ითქვას, რომ მისი ბევრი ლექსი კარგი არ არის. მ. მაჭავარიანს ბუნების სურათების დახატვაც ემარჯვება, საზოგადოებრივი ფიქრისაც. როცა იგი წერს ლაშურაზე, ჩვენთვის გასაგები და სასიამოვნოც არის ეს, რადგან აქ მშვენიერი გააზრებაა.

„— გამაყვდით!...
— აღარ მკადრულობ, —
აღარ ბანაობ ლაშურაში...
— გამაყვდით!...
„ეჰ, ნაკადულო!
გამაყება რა შუაშია:
მე გავიზარდე!
შენ ხარ პატარა!
— წინათ?!
პატარა ვიყავი წინათ...
. . . ."

მაგრამ მუხრან მაჭავარიანს აქვს ისეთი ლექსებიც, სადაც ბუნების საგნები ისეა ნაჩვენები, რომ ვხედავთ მხოლოდ ბალახს, მიწას, ფოთლებს და მისთანებს, თანაც ისე, რომ ყოველივე ეს არაფერს არ გვეუბნება, მხოლოდ პოეტს აღელვებს, პოეტს განაცდევინებს, მკითხველს კი არა.

აი მ. მაჭავარიანის ლექსი „ქუჩის ხეები"

„ო...
რა საყვარელნი არიან ხენი...
ქუჩაში უხმოდ დგანან და დგანან
ხანდახან ფოთოლი ხმადაბლა მღერის...
შრიალი...
შრიალი ცუდია განა!
არც ერთი მათგანი არ არის ჩარბი,
ცალ-ცალკე ყველა გაურბის ღალატს...
ყინვაა... თოვაა... წვიმაა... ღამეა —
ხეები ქუჩაში დგანან და დგანან".

რა განვიცადეთ ამ სტრიქონებით? რომ ქუჩაში ხეები დგანან და დგანან?

ავიღოთ მისი მეორე ლექსი — „ვიცი მათი ხასიათი"

„მივაბიჯებ, მიხარია, მივიმღერი,
მივაბოლებ...
აი ტყენი,
აი მთები,
აი მწვანე კარმიდამო...
ვინ ვიყავი, რა ვიყავი —
კოპიტები მიამბობენ:
„— მუხრან, ძროხა გადააბი, დაგენაცვლოს
მამიდაო!"

ამ ხეებისა და მთების, კოპიტების დანიშნულება თუ მარტო ის არის, რომ პოეტს გაახსენოს თავისი ბავშვობა, როცა მას მამიდა ძროხის გადაბმას სთხოვდა, ჩვენ ეს არ გვაინტერესებს, რადგან იგი ზედმიწევნით ვიწრო და პირადულია. ყოველივე ეს აყვანილი რომ იყოს საერთო ადამიანურ დონეზე, მაშინ სულ სხვა სურათი გვექნებოდა. ეს არის მთავარი.

რომელ ახალგაზრდა პოეტსაც ბუნება და მისი საგნები მიაჩნია პოეტურ ფაქტურად, ხოლო საზოგადოებრივი მოვლენები, ადამიანები და მათი საქმე-განცდანი ნაკლებ პოეტურად, მას უნდა შევახსენოთ ლადო ასათიანი, რომელმაც ახალგაზრდობის სიყვარული იმით დაიმსახურა, რომ მისი პოეზია მოქალაქეობრივი მოტივებით სუნთქავს და ცოცხლობს. შეიძლება დავასახელოთ მისი „ასპინძა", „ბასიანის ომი", „სალაღობო", „ფშაური ბალადა", „ციხის სიზმარი" და სხვ., რომლებშიც მხოლოდ საზოგადოებრივი მოტივებია.

ლადო ასათიანს აქვს ზედმიწევნით აქტუალურ თემაზე დაწერილი ლექსები — ლენინზე, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და სხვ., სადაც ავტორი ყოველთვის მაღალ პოეტურ დონეზე რჩება.

ლადო ასათიანიც წერს ალუბლებსა და სიყვარულზე. იგი მშვენივრად გადმოგვცემს ამ გრძნობას ლამაზ ფონზე (მაგალითად, აყვავებული ალუბლების ფონზე). მაგრამ ვის მოუვა აზრად, რომ ვუსაყვედუროთ პოეტს ეს! რატომ? იმიტომ, რომ ლ. ასათიანისათვის მთავარია ადამიანი და არა ალუბლის ყვავილი, მისთვის მთავარია საზოგადოებრივი აზრები და საქმეები, ცხოვრება, კაცი კაცური საქმეებით.

ავიღოთ აგრეთვე პოეტ ანა კალანდაძის ლექსები. მის ლექსებში ბევრია ინტიმურიც და საზოგადოც. უფრო ზუსტად — ინტიმურში საზოგადოა, ხოლო საზოგადოში ინტიმური. ნიმუშად მარტო ერთ ლექსს დავასახელებთ — „კარში გამო, ჭია-ჭია მარია".

ამ ლექსში პირველი სტრიქონები ბუნების სურათს გვიხატავს. ეს სურათი მეტად ნაზი, თბილი და პოეტურია. იგი გვატკბობს და ისეთ გუნებაზე გვაყენებს, რომ მზად ვართ ჩვენც მოვეფეროთ ჭია-ჭია მარიას...

„მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელებს.
კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
არას გავნებ, მხოლოდ მოგეფერები.
მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების".

პოეტის ასეთი განწყობილება შექმნილია დიდი საზოგადოებრივი, კაცობრიული ამბის გამო, მას უხარია, რომ „ბარბაროსი დაულეწავს ციცინელს", ეს არის მიზეზი, რომ:

„უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში.
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ბარბაროსი დაულეწავს ციცინელს,
უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში".

საბჭოთა ადამიანისათვის ნაცნობი და მახლობელი განცდაა დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების სიხარული. ეს განწყობილებაა ამ სტრიქონებში გადმოცემული. პოეტიც ამ სიხარულს აუტაცნია და ჭია-ჭია მარიას უზიარებს ამ გრძნობას. მას თანამოსაუბრედ ჭია-ჭია მარია აურჩევია (ეს უფრო პოეტურს და მიმზიდველს ხდის მთელ ამ ამბავს, ლამაზია და ნაზი) და ეუბნება:

„შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსვრა აბა როგორ ინდომეს?!
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ვუგალობოთ სამშობლოს მინდორ-ველს".

თუ არ ასეთი გაგება და გააზრება, ჭია-ჭია მარიას აქ ადგილი არ ექნებოდა, ანდა ამოდენა ადგილი მაინც არ ექნებოდა. ეს ლექსი ჭია მარიაზე კი არ არის დაწერილი, არამედ ნამდვილ ადამიანზე.

ახლა გადავხედოთ თამაზ ჭილაძის ლექსების წიგნს, რომელიც ამას წინათ გამოვიდა.

ამ პატარა წიგნით შეგვიძლია უკვე გადაჭრით ვთქვათ, რომ ახალგაზრდა პოეტი თამაზ ჭილაძე პოეტური კულტურის მფლობელია. მისი ლექსები დახვეწილი, ტექნიკურად დამუშავებულია. წიგნში შეტანილი ლექსები მეტყველებს აგრეთვე იმაზე, რომ მის ავტორს შეუძლია მხატვრულად აზროვნება, სახეების შექმნა, მოხდენილ შედარებათა მონახვა და თქმა. ყოველივე ეს კარგია.

ხოლო სასაყვედურო თ. ჭილაძის მიმართ ის არის, რომ მისი სამყარო ვიწროა. ჩვენ არ ვიტყვით, რომ აქაიქ პოეტს არ ჰქონდეს მოქალაქეობრივი ინტონაციის შემცველი ლექსებიც. ასეთები აქვს ორიოდე, რომლებშიც ცხოვრების ზოგი აქტუალური საკითხია დასმული. მაგრამ ეს მცირე გამონაკლისია.

თ. ჭილაძის ლექსების უმრავლესობა შეეხება ზღვას, ტალღებს, წვიმას, მთას, ბალახს, ყვავილს, ღრუბელს და ა. შ.

ლექსში „წვიმა" პოეტი გვიხატავს წვიმის სურათს. აქ არის შედარებებიც, რომლებიც სწორ ასოციაციასაც იწვევს, არის წვიმის განმაცდევინებელი რაღაც, მაგრამ მთავარი ის არის, რომ აქ ვხედავთ პასიურ ჭვრეტას და მეტს არაფერს.

არაფერს ვიტყოდით, რომ ასეთი ლექსები გამონაკლისი იყოს თ. ჭილაძის წიგნში. პირიქით, ასეთებია ძირითადი და განმსაზღვრელი. მივუთითებთ სათაურებს: „გაზაფხულის ცა", „ზღვამ შეანგრია კლდეები ტინის", „მე გზაზე ნახირს მივერეკავ ახლა", „ჩვენ ბევრი ვიარეთ", „წვიმას გვანან ბამბუკები", „მთების ნახვა", „მოგონება", „მთები ნისლში", „მონადირე", „ქარი მირბოდა", „ქარი", „საღამო ზღვასთან", „ჩიტი", „თოვლი ბრწყინავს", „ქარიშხალი" და სხვ. ყველა ამ ლექსში უმთავრესად ლაპარაკია ბუნების საგნებსა და მოვლენებზე. განა ამით შემოიფარგლება ჩვენი ცხოვრება? სადღაა პოეტი — საზოგადოების წევრი? რატომ სხვა არაფერი აღელვებს ან ახარებს, აწუხებს ან აღაფრთოვანებს, უყვარს ან სძულს ჩვენს პოეტს?

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თ. ჭილაძე გუშინდელი სტუდენტი და დღევანდელი ასპირანტია. სტუდენტთა ცხოვრებას ხომ ძალიან ახლოს იცნობს იგი. დაწეროს ამ კარგი ახალგაზრდობის ცხოვრებაზე, ეს გაამდიდრებდა ახალგაზრდა პოეტის თემატიკას. ასეთი ლექსები მკითხველსაც უფრო მეტს ეტყოდნენ და მკითხველიც გაცილებით მეტს იტყოდა პოეტზე. ხოლო ასეთი ლექსები, როგორიც არის:

„წვიმას გვანან ბამბუკები,
ტყეში დაიბაკუნებენ..."

არ ატკბობს ჩვენს სულს. თანაც უეჭველად ვხვდებით, რომ ბამბუკები იმიტომ „დაიბაკუნებენ", რომ წინა სტრიქონს შეერითმონ.

ანდა ავიღოთ ლექსი:

„მე გზაზე ნახირს მივერეკავ ახლა
და ტყლაშუნობენ რქებზე შოლტები,
მალე, სულ მალე, მდინარის გაღმა
ცეცხლს დავანთებ და გავიშოტები.
სველ სხეულიდან ამდგარი ორთქლი,
უფრო დაღლის და დავიწყებ თვლემას...
სადღაც მღერიან ტყეები ლორთქო
და ღამე მიდის ნელა და ნელა..."

რატომ უნდა გვითხრას პოეტმა, თუ როგორ „გაიშოტება" იგი, როგორ დაიწყებს „თვლემას" და ა. შ.

პასიურობა — აი რა ჩანს თ. ჭილაძის ბევრ ლექსში. ვის სჭირდება პასიურობა, რას მოგვიტანს ეს „მთვლემარება"? პასიური სურათია ლექსში „მთები ნისლში", ხოლო ლექსი „ქარი" მკითხველს გააოგნებს, რადგან მისი ბოლო სტრიქონები უცნაურს გვეუბნება:

„იქნებ ჯობია მართლაც,
რომ შენ გისმინო მხოლოდ..."

ე. ი. ავტორი არჩევს მხოლოდ ქარს უსმინოს. გამოდის, რომ მას შეუძლია უსმინოს ზღვას, მდინარეს, ხეებს, ქარსაც კი, ხოლო ადამიანებისათვის ზურგი შეუქცევია.

ყოველივე ამის გამო ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს უნდა ვუთხრათ, ვუთხრათ გულწრფელად და მეგობრულად, რომ არც ერთი უკიდურესობა პოეზიას არ სჭირდება. პოეზია უნდა იყოს ადამიანებისთვის და ადამიანების შესახებ. აქ კი ბუნებაც იქნება და საზოგადოებაც თავიანთი მრავალფეროვნებითა და სირთულით.

ტ. კვანჭილაშვილი.

ბუდაპეშტი დღეს



უკანასკნელ დღეებში უნგრეთის დედაქალაქმა ძლიერ იცვალა სახე. აღდგენილია მრავალი დანგრეული სახლი, ამუშავდა ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტობუსის ახალი ხაზები.

ბუდაპეშტში ცხოვრება კალაპოტში დგება. მშრომელები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ქალაქის აღსადგენად. დეკემბრის დასაწყისში სარემონტო სამუშაოებზე მუშაობდა 8.500 კაცი, თვის ბოლოს კი უკვე 11.400 კაცი. 15.875 ბინიდან, რომლებიც აღდგენილ უნდა იქნას, თითქმის 5 ათასი ბინა ჩადგა მწყობრში და გადაეცა მოსახლეობას. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სატრანსპორტო ქსელის აღდგენა. მთლიანად შევიდა ექსპლოატაციაში განათების ქსელი. ბუდაპეშტი სავსებით უზრუნველყოფილია წყლით. დღითიდღე უმჯობესდება დედაქალაქის მოსახლეობის მომარაგება პროდუქტებით. მოსახლეობა უზრუნველყოფილია ხორცითა და ხორცის ნაწარმით. გაუმჯობესდა მცხოვრებლების მომარაგება ბოსტნეულით, ხილით კარტოფილით, რძით.

საგრძნობლად გამოცოცხლდა მუშაობა ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ქალაქში უკვე მუშაობს 87 კინოთეატრი.

ახალი წლის პირველი დღეები ბუდაპეშტში აღინიშნა შრომითი წარმატებებით და ცხოვრების შემდგომი ნორმალიზაციით. 2 იანვრიდან განახლდა მეცადინეობა ბუდაპეშტის უნივერსიტეტში.

ბუდაპეშტის, ისევე როგორც მთელი უნგრეთის მშრომელებს, სჯერათ, რომ ახალი, 1957 წელი იქნება მთელი ხალხის საარსებო დონის ამაღლებისათვის წარმატებითი ბრძოლის წელი, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცების წელი.

* * *

სურათზე: ბუდაპეშტი. კოშუტის ქუჩა.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო თემაზე

კვიპროსის მოსახლეობის ბრძოლა კოლონიზატორთა წინააღმდეგ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიის დღის წესრიგში განსახილველად შეტანილია კვიპროსის საკითხი.

კვიპროსი ინგლისის კოლონიაა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. მას უჭირავს 9.251 კვადრატული კილომეტრი ფართობი. კუნძულ კვიპროსის მოსახლეობა დაახლოებით 500 ათას კაცს შეადგენს. აქედან 80 პროცენტი ბერძნები არიან, 17 პროცენტი — თურქები.

კვიპროსი მდიდარია წიაღისეულით. იქ დიდი რაოდენობით მოიპოვება სპილენძი, ქრომი, ასბესტი და სხვა მადნეული. მაგრამ ინგლისელი კოლონიზატორები აფერხებენ ადგილობრივ საწარმოო ძალთა განვითარებას და კუნძულის წიაღისეული თითქმის მთლიანად გადაუმუშავებლად გააქვთ.

კვიპროსის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, კარტოფილი, ბამბა, თამბაქო, ციტრუსები; მისდევენ მებაღეობასა და მევენახეობას. მთის რაიონებში განვითარებულია მეცხოველეობა, ზღვის სანაპიროზე — მეთევზეობა.

კვიპროსი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ყოველთვის იქცევდა დამპყრობი ქვეყნების დიდ ყურადღებას. მას, როგორც ევროპის, აფრიკისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე კუნძულს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამით აიხსნება, რომ ისტორიულად იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. კვიპროსის დამპყრობთა როლში გამოდიოდნენ ხან ეგვიპტელი ფარაონები, ხან სირიელები, ხან ბიზანტიელები. დიდ ხანს გრძელდებოდა კვიპროსზე თურქების ბატონობა.

1878 წელს თურქეთმა კუნძული კვიპროსი საიდუმლო შეთანხმებით გადასცა ინგლისს „დროებით“ მმართველობაში. ამის სანაცვლოდ ინგლისმა თურქეთს დახმარება აღუთქვა იმაში, რომ შეენარჩუნებინა თავისი სამფლობელოები აზიაში. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როგორც ცნობილია, თურქეთმა მხარი დაუჭირა გერმანიას. ინგლისმა მოახდინა კვიპროსის ანექსია და 1925 წელს კვიპროსი თავის კოლონიად გამოაცხადა. მას შემდეგ გრძელდება ინგლისელ კოლონიზატორთა ბატონობა კუნძულ კვიპროსზე.

კვიპროსის მოსახლეობა სასტიკ კოლონიურ ჩაგვრას განიცდის. კოლონიზატორები კუნძულზე აღვივებენ ეროვნულ შუღლს, ერთმანეთს უსისინებენ ბერძნებსა და თურქებს, უნდათ ამით გაიხანგრძლივონ ბატონობის დღეები. მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ იცის, რომ მისი ვერაგი მტრები ინგლისელი კოლონიზატორები არიან. ამიტომ იგი აძლიერებს ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მოითხოვს დაუპატიჟებელი სტუმრების კუნძულიდან გაძევებას.

ინგლისელი მონოპოლისტები დიდად შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სწრაფად ირღვევა კოლონიური სისტემა. მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ჩინელმა ხალხმა, დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოები გახდნენ ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია, ეგვიპტე და სხვ. ასეთ ვითარებაში ინგლისელი კოლონიზატორები ცდილობენ შეინარჩუნონ კვიპროსი როგორც ბრიტანეთის იმპერიის სამხედრო-საზღვაო ბაზა.

კვიპროსის მოსახლეობას არა სურს კვლავ ზიდოს უცხოელ დამპყრობთა ბატონობის უღელი, არა სურს, რომ მის მშობლიურ მიწას ახალი ომის გამჩაღებლები იყენებდნენ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის ბაზად. ამიტომ იგი იბრძვის მშვიდობისათვის, დემოკრატიული უფლებებისათვის, ინგლისელ კოლონიზატორთა განდევნისათვის.

ჯერ კიდევ 1946 წელს კვიპროსიდან ლონდონში გაიგზავნა დელეგაცია, რომელიც მოითხოვდა კუნძულის მოსახლეობისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას. დელეგაციას დაჰპირდნენ, რომ შემუშავებული იქნებოდა ახალი, დემოკრატიული კონსტიტუცია. ფაქტიურად დღემდე არავის არ უზრუნია იმისათვის, რომ კუნძულის მოსახლეობას ნამდვილი დემოკრატიული უფლებები მიენიჭოს.

ინგლისელი კოლონიზატორები ყველაფერს აკეთებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღსაკვეთად. 1955 წლის ოქტომბერში კუნძულ კვიპროსის გუბერნატორად დაინიშნა ბრიტანეთის იმპერიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი ფელდმარშალი ჯონ ჰარდინგი. მან თითქოს უწყინარი მოლაპარაკება დაიწყო არქიეპისკოპოს მაკარიოსთან, რომელიც კუნძულის საბერძნეთთან შეერთების მომხრე და განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორია. გუბერნატორი ერთგვარ დაპირებებსაც იძლეოდა, მაგრამ მალე მან დააპატიმრა და კუნძულიდან გაასახლა მაკარიოსი, როგორც „ტერორისტი“.

დაიწყო კვიპროსის მოსახლეობის დარბევა. მოკლე დროში 269 დაწყებითი და საშუალო სკოლა დახურეს. ბავშვებს მშობლიურ ენაზე სწავლის ნებას არ აძლევენ. აკრძალეს კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტია, რომელიც სათავეში ედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამ პარტიის 103 გამოჩენილი მოღვაწე დააპატიმრეს. აკრძალულია კვიპროსის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირი, ქალთა დემოკრატიული კავშირი და სხვა პროგრესული ორგანიზაციები. ამას წინათ 600-მდე კვიპროსელმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა ინგლისელ ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ინგლისელები ყურს არ უგდებენ კვიპროსელი ხალხის ხმას. უნდათ ეს კუნძული ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეინარჩუნონ.

ეგვიპტის მთავრობის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციის შემდეგ კოლონიზატორები კუნძულ კვიპროსზე თავს უყრიდნენ დიდძალ შეიარაღებულ ძალებს. როცა ისრაელმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიული ომი დაიწყეს, კვიპროსი გამოყენებულ იქნა სამხედრო ბაზად, საიდანაც გზავნიდნენ ბომბდამშენებსა და სამხედრო-საჰაერო ძალებს, გადაჰყავდათ პარაშუტისტები. ეგვიპტის წინააღმდეგ ომმა ცხადყო, რომ მშვიდობის ინტერესებისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ გადაიჭრას კვიპროსის საკითხი, ამ კუნძულიდან გაყვანილ იქნან ინგლისელი კოლონიზატორები, თავისუფლება და ეროვნული თვითგამორკვევის უფლება მიენიჭოს კვიპროსის მოსახლეობას.

კვიპროსის საკითხი პირველად როდი დგას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე. იგი განსახილველად შეტანილი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესიის დღის წესრიგში, მაგრამ ამერიკელი თანამეხვეხელების დახმარებით ინგლისელმა დიპლომატებმა მოახერხეს სესიაზე არ განეხილათ ეს საკითხი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიაზე ინგლისელმა რეაქციონერებმა ჩაშალეს ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანა.

ინგლისელი კოლონიზატორები ახლაც ცდილობენ როგორმე ჩაშალონ კვიპროსის საკითხის განხილვა. ამ მიზნით მათ უკვე შეიმუშავეს კვიპროსისათვის კონსტიტუციის პროექტის ახალი ვარიანტი, რომელიც, თვით ბურჟუაზიული პრესის აღიარებით, დიდ სიახლეს არ შეიცავს. კვიპროსელებს ჰპირდებიან კუნძულის მმართველობაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ კოლონიური რეჟიმი მაინც ძალაში რჩება. თუ წინათ ფიქრობდნენ, რომ საშინაო უშიშროების საკითხები კვიპროსის მთავრობის კონტროლს დაექვემდებარებოდა, კონსტიტუციის ახალი პროექტით იგი თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებთან ერთად ინგლისელი გუბერნატორის კომპეტენციაში რჩება. პარლამენტს, რომლის შექმნასაც კონსტიტუცია ითვალისწინებს, გადაეცემა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები, ამასთან ეს ახალი კონსტიტუცია ძალაში უნდა შევიდეს შორეულ მომავალში, როცა კუნძულზე მდგომარეობა „მთლიანად ნორმალური“ გახდება.

ინგლისელები ცდილობენ დაჩქარებით მიაღწიონ კონსტიტუციის ამ პროექტის მოწონებას. ამით იყო გამოწვეული დეკემბრის შუა რიცხვებში ინგლისის კოლონიების მინისტრის ლენოქს-ბოიდის მოულოდნელი ვიზიტი ათენსა და ანკარაში. ფაქტები მოწმობენ, რომ ინგლისის „კონსტიტუციურმა წინადადებებმა“ მოწონება ვერ ჰპოვეს ვერც საბერძნეთში, ვერც თურქეთში. კვიპროსის მოსახლეობა გადაჭრით უარყოფს ამ კონსტიტუციას. ამას მოწმობს ქალაქ ფამაგუსტაში 21 დეკემბერს მოწყობილი საპროტესტო დემონსტრაცია.

ცხადია, ინგლისელ კოლონიზატორთა ქტიურობა იმით აიხსნება, რომ მათ არ აწყობთ კვიპროსისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება, სურთ ახალი კონსტიტუციით შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი, თავი გულშემატკივარ და მზრუნველ ადამიანებად მოაჩვენონ, სურთ ამით ხელი შეუშალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კვიპროსის საკითხის საფუძვლიან განხილვას და მის ობიექტურად გადაჭრას.

კვიპროსის საკითხი შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის დღის წესრიგში. პროგრესული კაცობრიობა მხარს უჭერს კვიპროსის მოსახლეობის კანონიერ მოთხოვნას, მის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მოელის აღნიშნული საკითხის სამართლიან გადაჭრას.

ა. ჩავლეიშვილი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. (საკდესი). დღეს დილიდან მუშაობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის კომიტეტები. პოლიტიკური კომიტეტი განაგრძობდა კორეის საკითხის განხილვას.

სპეციალურმა კომიტეტმა დაიწყო სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირებთან დამოკიდებულების საკითხის განხილვა.

ვინ უშლის ხელს ინგლის-საბჭოთა კავშირის კულტურულ ურთიერთობას

ლონდონი, 8 იანვარი. (საკდესი). გასული წლის ოქტომბერში დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის საელჩოსა და ბრიტანეთის საბჭოსთან არსებულ სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის დამყარების კომიტეტს შორის მოხდა წერილების გაცვლა, რომლებშიც გამოთქმული იყო როგორც ერთი, ისე მეორე მხარის თანხმობა 1957 წლის მარტში ურთიერთობის საფუძველზე მოწყობილიყო საბჭოთა ფილმების ფესტივალი დიდ ბრიტანეთში და ინგლისის ფილმების ფესტივალი საბჭოთა კავშირში. დაწესდა, რომ 1957 წლის 11-17 მარტს 12 საბჭოთა ფილმი ნაჩვენები იქნებოდა ლონდონში, ბირმინჰემსა და გლაზგოში, ხოლო 12 ინგლისური ფილმი — მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში.

მაგრამ 1956 წლის დეკემბრის დამლევს ბრიტანეთის საბჭოსთან არსებული სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის დამყარების კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა კ. მეიჰიუმ საბჭოთა საელჩოს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „ჩვენ დიდი ყურადღებით განვიხილეთ ინგლის-საბჭოთა კავშირის ფილმის განზრახული კვირეულის საკითხი, რომელიც უკვე განხილული იყო ჩვენს შორის დაწერილებით. ვწუხვარ, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივი აზრის გამო ვერ ვხედავთ ამჟამად ასეთი ფესტივალის მომზადების განგრძობის გზებს“.

5 იანვარს სსრ კავშირის ელჩმა ინგლისში ი. ა. მალიკმა ბრიტანეთის საბჭოსთან არსებული სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის დამყარების კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ მეიჰიუს გაუგზავნა პასუხი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „საბჭოთა საელჩოს არ შეუძლია არ გამოთქვას მწუხარება იმის გამო, რომ ბრიტანეთის საბჭოსთან არსებულმა სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის დამყარების კომიტეტმა ახლა ესოდენ უარყოფითი პოზიცია დაიკავა დიდ ბრიტანეთში საბჭოთა ფილმების ფესტივალისა და საბჭოთა კავშირში ინგლისური ფილმების ფესტივალის მიმართ, რომელთა მოწყობა ურთიერთობის საფუძველზე დასახული იყო 1957 წლის მარტში.

საელჩო ღრმად დარწმუნებულია, რომ ამგვარი კულტურული ღონისძიებანი, ურთიერთობის საფუძველზე მოწყობილნი, ხელს შეუწყობდნენ ხალხთა უკეთეს ურთიერთგაგებას, ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებას, აგრეთვე არაწინასწარგანზრახული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, რითაც დაინტერესებული არიან ორივე ქვეყნის ხალხები.

ზემოაღნიშნულის მიხედვით საელჩო იმედს გამოთქვამს, რომ კომიტეტი შეცვლის პოზიციას და ადრე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად მიიღებს ურთიერთობის საფუძველზე საბჭოთა და ინგლისური ფილმების ფესტივალების მომზადებისა და მოწყობის საჭირო ღონისძიებებს“.

საბჭოთა კავშირის დახმარება ცეილონის მოსახლეობისადმი

1956 წელს ცეილონის ჩრდილო-ცენტრალურ პროვინციას თავს დაატყდა გვალვა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ანურადჰაპურის რაიონში. ცეილონის პრესის ცნობებით, გვალვის შედეგად მოსავალი დაიღუპა 50 ათას აკრ ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს ცეილონის დაზარალებული მოსახლეობის დახმარების ფონდში 10 ათასი ცეილონური რუპია.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია

ბუქარესტი, 6 იანვარი. (საკდესი). დღეს პრესაში გამოქვეყნდა რეზოლუცია რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა, რომელიც 1956 წლის 27-29 დეკემბერს გაიმართა. რეზოლუციაში აღნიშნულია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიერ 1956 წელს მიღწეული წარმატებანი, რომლებმაც შესაძლებელი გახადა თანდათანობით ამაღლებულიყო მშრომელთა ცხოვრების დონე. რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა, რომ შემდგომ პერიოდში, რუმინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, მძიმე მრეწველობის — სოციალიზმის აშენებისა და გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების საფუძვლის — განვითარების პოლიტიკის განუხრელი განხორციელებისას, ყურადღების ცენტრში დაყენებული იქნება სოფლის მეურნეობისა და მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობის სისტემატური და მტკიცე განვითარების ამოცანა.

პლენუმმა დაადგინა გაუმჯობესდეს ხელფასის ახლანდელი სისტემა. ამის შედეგად საშუალო ხელფასი გადიდდება 15 პროცენტით. დამატებითი სარგებლობა, რომელსაც მუშები და მოსამსახურეები მიიღებენ ხელფასის სისტემის გაუმჯობესების, ბავშვებისათვის სახელმწიფო დახმარების გაცემის, აგრეთვე დაბალი პენსიების ოდენობის გადიდების გზით, 1957 წელს 2,5 მილიარდი ლეი იქნება. რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კვლავ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ცხოვრების დონის ამაღლება შეიძლება მხოლოდ წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირების, ეკონომიის მკაცრი რეჟიმის განხორციელებისა და საწარმოთა მთელი შინაგანი რესურსების გამოყენების პირობებში.

იმ მიზნით, რომ უფრო მეტად შეეწყოს ხელი, ვიდრე ეს დღემდე იყო, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გაუქმდეს მეტი წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გზით ცენტრალური ფონდის შექმნის სისტემა და შეიცვალოს იგი კონტრაქტაციისა და შესყიდვის სისტემით.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ 1957 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი შეესაბამება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული განვითარების საჭიროებებს.

1957 წლის კაპიტალდაბანდებანი, უზრუნველყოფენ რა მძიმე მრეწველობის პრიორიტეტს ეკონომიკის რესურსებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, ამავე დროს უნდა უზრუნველყოფდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების და მსუბუქი და კვების მრეწველობის წარმოების სისტემატურ და გაძლიერებულ ზრდას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალური და ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვება ერთისამად უნდა გადიდდეს 1956 წელთან შედარებით. გამოყოფილი იქნება გადიდებული ფონდები სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა განხორციელებისათვის. არსებითად გადიდდება მინერალური სასუქების წარმოება.

ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის უკეთ მომარაგებისათვის საქონელბრუნვის მოცულობა სოციალისტურ ვაჭრობაში დაახლოებით 4 მილიარდი ლეით გადიდდება 1946 წელთან შედარებით. საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და რემონტისათვის ცენტრალიზებული და ადგილობრივი ფონდებიდან გამოყოფილი იქნება 1 მილიარდ ლეიზე მეტი თანხა.

პლენუმს პარტიის, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოსა და მშრომელთა ცენტრალურ ეკონომიურ ამოცანად მიაჩნია აღმოიფხვრას სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა მრეწველობის განვითარებისაგან და მეურნეობის საჭიროებათა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა ზრდისაგან. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის, განსაკუთრებით მეცხოველეობის აღმავლობის გადამწყვეტი პირობაა მთავარი მარცვლეული კულტურების — სიმინდისა და ხორბლის წარმოების განვითარება. 1960 წლამდე საჭიროა სიმინდის ნათესი ფართობები აყვანილ იქნას 4 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო ხორბლისა და ჭვავისა — დაახლოებით 3,5 მილიონ ჰექტარამდე.

მეორე ხუთწლედის წლებში ბევრად გადიდდება სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო პროდუქციის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოს ცენტრალური ფონდის შექმნის საქმეში. სახელმწიფო სასოფლო მეურნეობანი უახლოეს წლებში მარცვლეულის მსხვილი მწარმოებლები უნდა გახდნენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ სოფლის მეურნეობათა, საწარმოო კოოპერატივთა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა სამეურნეო განმტკიცების ორგანიზაციას, მათ გაფართოებას ახალი წევრების მიღებისა და ახალ კოოპერაციულ მეურნეობათა შექმნის გზით, მათ ყოველმხრივ განვითარებას. პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ხაზგასმით აღნიშნულია რეზოლუციაში, მთელმა პარტიამ სერიოზული ღონისძიებები უნდა მიიღოს მასებში ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისა და მასების შემოქმედებითი ინიციატივის მობილიზაციისათვის.

რეზოლუციაში შემდეგ დასახულია კონკრეტული ამოცანები პარტიული ორგანიზაციების, პროფკავშირების, სახალხო საბჭოების წინაშე.

ირანში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის გამგზავრებისათვის

1956 წლის 24 დეკემბერს ირანის სენატის თავმჯდომარემ სეიდ ჰასან ტაგი-ზადემ და ირანის მეჯლისის თავმჯდომარემ სარდარ ფაჰერ ჰექმათმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის პ. პ. ლობანოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ტ. ლაცისის სახელზე გამოგზავნეს წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ირანის სენატისა და მეჯლისის თავმჯდომარეებს, რომლებიც ეყრდნობიან იმას, რომ უშუალო ურთიერთობის დამყარება სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებს შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა, და რომლებსაც სურთ ხელი შეუწყონ ჩვენს ქვეყნებს შორის უფრო კარგი და კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებასა და გაფართოებას, პატივი აქვთ გთხოვონ აირჩიოთ დელეგაცია, რომელიც ათ დღეს იმოგზაურებდა ირანში ირანის პარლამენტისა და მისი წევრების გასაცნობად და ამ ხნის განმავლობაში ირანის პარლამენტის სტუმარი იქნებოდა“.

თავიანთ საპასუხო წერილში პ. პ. ლობანოვმა და ვ. ტ. ლაცისმა სეიდ ჰასან ტაგი-ზადესა და სარდარ ფაჰერ ჰექმათს აცნობეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მადლობით იღებს სენატისა და მეჯლისის თავაზიან მიწვევას ირანში გაგზავნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. წერილში აგრეთვე გამოთქმულია რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მომავალი გამგზავრება ირანში, ისევე როგორც 1955 წლის დეკემბერ — 1956 წლის იანვარში ირანის პარლამენტის დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის კარგი და კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების საქმეს.

ირანის სენატისა და მეჯლისის სურვილის შესაბამისად წერილში გამოთქმულია თანხმობა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ირანში გაიგზავნოს 1957 წლის 20 იანვარს.

თბილისის უნივერსიტეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 იანვარს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო საზამთრო საგამოცდო სესიები.

გამოცდების პირველსავე დღეს გამომჟღავნდა სტუდენტთა კარგი მომზადება. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის 41 სტუდენტიდან 25-მა მიიღო „ფრიადი“ შეფასება, 16-მა კი „კარგი“. განვლილი კურსის საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინეს ფილოლოგიის, ისტორიის, ფიზიკის, მექანიკა-მათემატიკის და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებმა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს სესიების ნორმალური მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად. გამოცდებში მონაწილე სტუდენტთა დასახმარებლად უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები აწყობენ კონსულტაციებს ყველა ძირითად დისციპლინაში.

გამოცდები უნივერსიტეტში 23 იანვრამდე გაგრძელდება. შემდეგ იწყება სტუდენტთა საზამთრო არდადეგები.

სურათზე: უნივერსიტეტის სტუდენტები პირველი გამოცდის ჩაბარების შემდეგ.

სასამართლო

წერილმანი ხულიგნობისათვის

ტროლეიბუსის გაჩერებასთან რიგი იდგა. ტროლეიბუსი რომ ჩამოდგა, საიდანღაც მოვარდა სერგო მიხეილის-ძე ბაღდასაროვი, რომელიც ტრესტ „საქენერგოში“ დარაჯად მუშაობს, და ურიგოდ მოინდომა ტროლეიბუსში ასვლა.

— რიგში დადექით, ამხანაგო, სხვებს ვეღარ ამჩნევთ? — მიმართა ბაღდასაროვს ერთ-ერთმა მოქალაქემ.

— ვისი ტიკტომარა ხარ, რა შენი საქმეა! — შეუბღვირა მას ბაღდასაროვმა და წესრიგისაკენ მომწოდებელი უწმაწური სიტყვებით გამოლანძღა. მილიციის თანამშრომელმა ბაღდასაროვი დააკავა.

ხულიგან ს. ბაღდასაროვის საქმე განიხილა სტალინის რაიონის სახალხო მოსამართლემ და „წერილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 8 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად მას 10 დღით პატიმრობა მიუსაჯა.

* * *

თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმის მოსწავლე დავით იოსების-ძე კრიხელი სწავლის მაგიერ მეტ დროს ქუჩაში უსაქმოდ ხეტიალს ანდომებს. გუშინ, 8 იანვარს, რუსთაველის პროსპექტზე იგი აედევნა მოქალაქე ლილი თევდორაშვილს, რომელსაც ჯერ რუსთაველის სახელობის კინოთეატრში, ხოლო შემდეგ ქუჩაში უწმაწური სიტყვებით მიმართა. კრიხელის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ქალს ხელი ჰკრა და წააქცია.

ხულიგანი შეიპყრეს, იმავე დღეს მისი საქმე განიხილა კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლემ, რომელმაც მას 12 დღით პატიმრობა მიუსაჯა.

ა. ასკალიშვილი, შ. ჯანიაშვილი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 7 იანვარი. (საკდესი). როგორც აქ ოფიციალურად იუწყებიან, 4-7 იანვარს ბუდაპეშტში იმყოფებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე დე სენი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა იმ დახმარების საკითხზე, რასაც უნგრეთს უწევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში.

უნგრეთის დელეგაციას მოლაპარაკებაში მეთაურობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნგრეთის დელეგაციის წევრი პროფესორი იმრე ვაიდა.

ბუდაპეშტში ყოფნის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე დე სენი მიიღეს უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა, ვაჭრობის მინისტრმა შანდორ რონაიმ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კაროი სარტამ და უნგრეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ჰიდროტექნიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (ორი ადგილი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებს უნდა დაერთოს (ორ-ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი საბუთების პირები, დამოწმებული დადგენილი წესით, სამეცნიერო შრომების სია და საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8, ტელ. 3-72-10.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია აცხადებს, რომ ინსტიტუტთან არსებული დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის აკადემიური შეკრება ჩატარდება შემდეგ ვადებში:

აგრონომიული, მცენარეთა დაცვისა და მექანიზაციის განხრის ყველა კურსებზე, მებაღეობა, მევენახეობის და მებოსტნეობის განხრის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კურსებისათვის 1957 წლის 1 თებერვლიდან 3 მარტამდე; ხოლო სატყეო მეურნეობის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის განხრის ყველა კურსებზე და მებაღეობა-მევენახეობისა და მებოსტნეობის განხრის პირველი, მეორე და მესამე კურსებისათვის 1957 წლის 10 აპრილიდან 10 მაისამდე.

აღნიშნულ ვადებში სტუდენტის გამოუცხადებლობა გამოიწვევს მის გარიცხვას ინსტიტუტიდან.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი (დილას), კარმენი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის**—დონ სეზარ დე ბაზანი (დილას), ეზოში ავი ძაღლია (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ქალიშვილები (დილას), სამი ბულბულის ქუჩა № 17 (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის**—მარადიული სიყვარული (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — სამველი, **მუსიკალური კომედიის** — ახალი სიმღერა (დილას), სამი პატარძალი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა (აბონემენტი № 28, 12 ს.), კოჭლი მეწისქვილე (აბონემენტი № 2, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — კომბლე (11 ს., 3 ს. და 30 წ.), **თოჯინების ქართული** — ბურატინოს თავგადასავალი (12 ს. და 3 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი— ძველი შტოლნის საიდუმლოება, **ამირანი, თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ივანე ფრანკო, **სპარტაკი, კიროვის სახელობის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — აბეზარა, **კოლმეურნე, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — არტემკას თავგადასავალი, **კოლხიდა, ოფიცერთა სახლი** — თაფლობის თვე, **კომკავშირელი** — ბაში-აჩუკი, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი**— მემკვიდრე, **26 კომისრის სახელობის** — სომხური ფილმების ფესტივალი: პატიოსნებისათვის, ქუხილის ბილიკით, **დიდუბე** — ვინ არის იგი?, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მეტოქენი, **კომუნარების ბაღი** — ბატონი 420 (I და II სერია).

შვილები აკაკი, ნინო, ვერა, რძალი ქენია, სიძე, მ. ტრანკიძე ოჯახებით იუწყებიან **მაკრინე ჯამლეთის ასულ ქოიავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-I სოფელ ძველ აბაშაში (აბაშის რ.).

მოქალაქე ლოლა დავითის ასულმა ჯალაღანიამ, მცხოვრებმა დოლაბაურის მოედანი № 2, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნიკოლოზ არისტოს-ძე ბახტაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვახტანგ ზაქარიას-ძე ჩიტიშვილმა**, მცხოვრებმა შრომის ქ. № 14, აღძრა საქმე მარჯანიშვილის ქ. № 25 მცხოვრებ მოქალაქე **ეთერ არამის ასულ ბეჟანიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის სახალხო სასამართლო.

დედა დუსია, მეუღლე ქენია, შვილები სვეტლანა, ნოდარ, და თამარ, სიძე გ. ბზვანელი ოჯახით იუწყებიან **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ბათაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-I. 8 ს. გამოსვენება 10-I, 4 ს. ბეშტაშენის ქ. № 14 (საბურთალო).

მეუღლე ბაბინე, შვილები მიხეილ, ნატაშა, რძალი ანიკო, სიძეები ვ. ცანცაძე, ვ. ერქომაიშვილი ოჯახებით იუწყებიან **დომენტი ანტონის-ძე მოისწრაფიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I ქ. მახარაძეში, გამოსვენება ბინიდან, კალინინის ქ. № 8.

დედა მარო, მამა პორფილე, მეუღლე გულიკო, შვილი ნუნუ, დებ ვლადენკა, მარო, თამარ, ფუცია, თინა, ქეთო, შუშანა, ძმები ტიტე, ვაჟა, ნოდარ, ბუჭუ, რძლები ნადია, ლია, სიძეები ო. მახაძე, გ. ღვალაძე, შ. ობოლაძე, ს. ბურჯანაძე იუწყებიან **დიდიმ პორფილეს-ძე ბებიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I სოფელ ობჩაში (მაიაკოვსკის რ.).

დები თამარ ბეთანელი, მაგდანა ტყემალაძე ოჯახით იუწყებიან **ალექსანდრე მიხეილის-ძე ბეთანელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-I, 8 ს. გამოსვენება 10-I, 4 ს. საბჭოს ქ. № 44.